9 აპრილს ყველანი ევროპის მოედანზე!

საერთო საქმე

№12 (604) • 7 აპრილი, 2021წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.50 ლარი

9 აპრილი - საქართველოს მარადისობის დღე

უხმლო ლაშქარი

9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნას

ვაიმე, ჩემო უხმლო ლაშქარო,
სად მიხვალ, საით მიეხეტები.
ანგელოზებო, ფრთები გაშალეთ,
რომ დაიფაროთ უხმლო მხედრები.

ვის სთხოვ შველას და
ვის სთხოვ სამართალს,
როცა მგლებივით ირგვლივ გივლიან.
ჰაი, დედასა, ხმალი წაგართვეს,
უხმლოსთან ბრძოლა კი ადვილია.

უხმლო ლაშქარის მიკვირს ლაშქრული,
უხმლო მხედრების გრგვინავს მხედრული,
არა ძაბუნი, არა ლაჩრული,
არამედ ხაფი და გაბედული.

უხმლო ხმლიანსაც დასცემს, დაჯაბნის,
თუკი სამშობლოს იცავს ღირსებას.
გულო ნაღვაწო, მკლავო ნაჯაფო,
რა დიადია ეს განრისხება.

ვიგლოვოთ, მაგრამ ისე ვიგლოვოთ,
არ ჰგავდეს იგი სულით დაცემას,
დიახ, ეს იყო ჩვენი დიდგორი,
არვის ეგონოს ეს დამარცხება.

მოვა, მოგვნახავს კვლავაც დიდება
და მოგვიშუშებს უმძაფრეს ტკივილს.
ქაშუეთს ზემოთ ტბა დგას ტიტების,
მე ტბის ნაპირას ვზივარ და ვტირი:
— ჰაი, დედასა, უხმლო ლაშქარო...

ვახტანგ ხარჩილავა
1989 წ. აპრილი

„საერთო საქმეთ" - საყვეთი ამოაყრევნე ამიტიხვალისთვის

9 აპრილი - საქართველოს მარადისობის დღე

რედაქტორის სვეტი

„მაშა, დუმილიც მიმით-ვალე შენდამი ლოცვად!“

9 აპრილს ევროპის მოედანზე დიდი სახალხო შეკრება უნდა გაიმართოს.

შეკრება მდუმარე იქნება...

შეკრების მონაწილეებს დუმილით სურთ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი რამ თქვან, თქვან ის, რისი თქმაც და გადმოცემაც სიტყვებით შეუძლებელია.

ოცდაათი წელია ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ და არაფერი გამოვიდა, იქნებ, ახლა დუმილმა გაჭრას.

ეს დუმილის დღე სიტყვით მოტყუებულთა პროტესტია ყალბი სიტყვების წინააღმდეგ, ენამოთაფლულთა ფარისევლობის და თვალთმაქცობის წინააღმდეგ, რომლებიც 30 წელია ამ მოთაფლული სიტყვებით ცდილობენ, სამშობლო წაგვართვან.

მრისხანებით და სიბრაზით სავსე დუმილია ეს, ქვეყნის მოღალატეების და გამყიდველების, შინაური დამპყრობლების, შინაური ტერორისტების წინააღმდეგ მიმართული მკაცრი გაფრთხილებაა.

ეს ის დუმილია, რომელიც აუცილებლად გადაფარავს ფსევდოპატრიოტთა ყალბ პათეტიკას, მათ ხმამაღალ, სპეკულაციურ ლოზუნგებს.

— გამოვაცხადოთ 9 აპრილი საქართველოს მარადისობის დღედ! — შემოგვთავაზა გია გაჩეჩილაძემ, „უცნობმა“, ამ შეკრების ავტორმა და ინიციატორმა.

შესანიშნავი იდეაა, — გამოვაცხადოთ 9 აპრილი და მასთან ერთად ყველა დღე საქართველოს მარადისობის დღედ, საქართველოს მსახურების დღედ, საქართველოსთვის თავდადების დღედ!

როგორ მაინტერესებს, მოვლენ თუ არა 9 აპრილს რიყეზე ოპოზიციური პარტიები და მათი მხარდამჭერები და დუმილით შემოუერთდებიან თუ არა ამ მრავლისმეტყველი დუმილის დღეს?

არ ვიცი, რამდენი ათასი ქართველი დადგება პარასკევს რიყეზე მდუმარედ, უსიტყვოდ...

მართალია, მათ ხმას ვერ გავიგონებთ, მაგრამ აუცილებლად გავიგონებთ ამ ათიათასობით ქართველის ერთ გულისცემად გაერთიანებული გულისცემის ხმას.

მიგვითვალე, სამშობლოვ, ეს დუმილი შენდამი ლოცვად!

დიდება შენ და შენს მარადისობას!

ვახტანგ ხარჩილავა

ჩუმი ქართველი

ვახტანგ ხარჩილავა:

ჩუმი ქართველის იმედი დამრჩა,
შავ ჰორიზონტს რომ ჩუმად გასცქერის,
ჩუმად დგას, ჩუმად ისინჯავს ხანჯალს,
სამშობლოსათვის ყოვლის გამცემი.

არვის ეგონოს, არ სწამს მომავლის,
რადგან ხმამაღლა ბედს არ უკივის,
ჩუმი ქართველი, ჩუმად რომ არის,
ნუ ეგონება ვინმეს გულგრილი.

დღეს ჩუმადაა, მაგრამ დრო მოვა
და სულს შთაბერავს უკვდავ ლეგენდას.
ჩუმად ტუჩს იკვნეტს და ჩუმად როა,
ცრემლები შიგნით ჩასდის ლეკერტად.

ჩუმი ქართველის იმედი დამრჩა,
ჯერ არ უმტყუნა რომელსაც გულმა.
საქართველოსთვის ჩუმად რომ ცოცხლობს,
საქართველოსთვის რომ კვდება ჩუმად.

1994 წ.

გიორგი გაჩეჩილაძე:

ფრაგმენტი ინტერვიუდან:

9 აპრილს ხალხი შეიკრიბება, რათა ჩვენი ძალა დავანახოთ და ის თუ რამდენი ვართ. 9 აპრილი ქართველი ხალხის დღედ უნდა იქცეს. ამ დღეს ხალხი, ყოველწლიურად, გამოვა და ნებისმიერ მთავრობას შეახსენებს: ჩვენ აქ ვართო. ქვეყანაში პირველი პრიორიტეტი არის სწორედ ხალხი და არა რომელიმე პარტია, პოლიტიკოსი ან პარტნიორი ქვეყნები. სანამ ჩვენ ძალას არ დავანახებთ, მანამდე გაგრძელებენ ამ თამაშს, რასაც ახლა ვუყურებთ.

ეს იქნება მდუმარე აქცია, რათა უცხოელებსაც და ყველას დავანახოთ, რომ ამ ქვეყანაში ხალხი არის პრიორიტეტი და ისე არ არის საქმე როგორც ამას ოპოზიცია წარმოაჩენს. იგი, ხალხის სახელით ლაპარაკობს, რაც რეალობას არ შეეფერება. ჩვენ, ყველას უნდა გავაგებინოთ, რომ ხალხს აბსოლუტურად სხვა ინტერესი აქვს, პოლიტიკოსებს და ზოგიერთ პარტიულ ტელევიზიებს კი — სხვა. მათ უნდა დავანახოთ, რომ ჩვენი ძალა ერთობაშია. მერე, თვითონაც სხვა კუთხით დაფიქრდებიან.

დასავლეთს საქართველოში, რუსეთისგან განსხვავებით, სტაბილურობა, სიწყნარე უნდა. აქ, არეულობა ერთადერთ ქვეყანას — რუსეთს აწყობს. დასავლეთს აქ, სიმშვიდე სურს, ამიტომაც, იბარებს ორივე მხარეს და შერიგებისკენ, კომპრომისზე წასვლისკენ მოუწოდებს. მაგრამ კომპრომისზე ვერ წავა ადამიანი, რომელსაც დესტრუქცია აქვს გადაწყვეტილი. ამიტომ, ახლა, ისევ და ისევ ხალხმა უნდა იაქტიუროს. მან დასავლეთს, სხვებსაც უნდა დაანახოს, რომ აქ, პრიორიტეტი ხალხია და სააკაშვილის ხელისუფლებაში უკან მობრუნებას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს. სწორედ ამიტომაც იკრიბება ხალხი 9 აპრილს. ჩვენ, ვემიჯნებით „ნაციონალებს“, ყოველგვარ დესტრუქციას.

უცხოელებს, დასავლეთს მინდა მივმართო: მელიას, რურუას პოლიტ-პატიმრებს რომ უწოდებენ, სინამდვილეში ეს ასე არ არის. ისინი პოლიტპატიმრები კი არა, დამნაშავეები არიან. ნუ, თხოვენ ხელისუფლებას მათ გათავისუფლებას და წნეხის ქვეშ ნუ აყენებენ, რათა დამნაშავეები ციხიდან გამოუშვან, ეს სწორი საქციელი არ არის.

9 აპრილს, ტრადიციად უნდა დავამკვიდროთ ხალხის შეკრება. ეს ქართველი ხალხის დღე იქნება. ამ დღეს ქართველი ხალხი ყოველწელს უნდა გამოვიდეს, რათა არცერთ ხელისუფლებას მოდუნების საშუალება არ მისცეს. დიახ, ხელისუფლებას ხალხის უნდა ეშინოდეს და მას ანგარიშს უწევდეს. მთავარი აქ, ეს არის. რასაც მართლა ხალხი ჰქვია, იგი, 8 წელიწადია გარეთ არ გამოსულა. ქუჩაში მარტო „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები გამოდიან და დესტრუქციულ ქმედებებს სჩადიან. ჩვენ, დავანახებთ თუ რამდენი ვართ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც „ნაცების“ მსგავსად არ ფიქრობს.

ჩემი აზრით, 9 აპრილს ძალიან ბევრი ადამიანი გამოვა. ვნახოთ, რა იქნება. ყოველ შემთხვევაში, ძალიან ბევრი წერილი მოდის და ვიცი, რომ საკმაოდ ბევრ ადამიანს სურს ამ პროცესში მონაწილეობის მიღება. ეს იქნება სამართლიანი ბრძოლა იმ გუნდის წინააღმდეგ, ვინც უკვე 30 წელია პოლიტიკაშია. ხალხის გარდა, ამ უმსგავსობას ვერავინ დაამთავრებს.

9 აპრილს გამოჩნდება, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნის თუ არა. თუ ხალხი გამოვა, ასე თავის ქვეყანას გადაარჩენს, თუ ასე არ მოხდა, მაშინ მანქურთები გავმხდარვართ და აღარ გვქონია ქვეყანა...

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავლის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

9 აპრილიდან 9 აპრილამდე

1989 წლის 9 აპრილს გამთენიისას თბილისში, რუსთაველის გამზირზე საბჭოთა კავშირის სადამსჯელო ნაწილებმა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს. ოცდაერთ დაღუპულთა შორის, უმეტესობა ქალები იყვნენ, ამას გარდა იყვნენ დაჭრილები, დაუდგენელი ქიმიური ნივთიერებით მოიწამლა 2000-ამდე პირი 1989 წლის 9 აპრილიდან ზუსტად მეორე წლისთავზე საქართველოს უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო 9 აპრილი საქართველოს უახლეს ისტორიაში ჩაეწერა ტრაგედიის და ამავდროულად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ.1989 წლის აპრილს რუსთაველის გამზირზე შეკრებილებს მერაბ



კოსტავა მიმართავდა: „გამაგრდით და გაძლიერდით სულიერად, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!“ შიში არ არსებობდა. იქ მდგომ ადამიანებს ერთმანეთი უყვარდათ. 9 აპრილის ტრაგედიას წინ უძღოდა 1989 წლის მარტში თბილისში გავრცელებული ინფორმაცია, აფხაზეთში, სოფელ ლიხნში ჩატარებული შეკრების შესახებ. ანტიქართულად განწყობილმა აფხაზებმა ამ შეკრებაზე შეადგინეს პეტიცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს შემადგელობიდან გასვლა და რუსეთთან მიერთება მოითხოვეს. ფაქტის გახმაურებამ სერიოზული შეშფოთება გამოიწვია სოხუმშიც და თბილისშიც. 3 აპრილს სოხუმის ცენტრში მოეწყო დიდი მიტინგი. სადაც სიტყვით გამოვიდნენ მერაბ კოსტავა, ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი, დიმიტრი ჯაიანი, ვოვა ვეკუა (რომელიც მალევე მოკლული იქნა სოხუმში). მიტინგის დასრულების შემდეგ ლიდერები შეთანხმდნენ 4 აპრილიდან დაწყებულიყო მასობრივი პოლიტიკური აქციები დედაქალაქში. აქციების მიზანი აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისთვის სოლიდარობის გამოცხადება და ლიხნის შეკრების ორგანიზატიორების დასჯის მიღწევა უნდა ყოფილიყო.

საქართველოს ხელმძღვანელობაზე ამ გზით ზეწოლამ შედეგი მოიტანა. ჯუმბერ პატიაშვილი ჩავიდა სოხუმში და პირველი მდივანი ადლეიბა გაათავისუფლა, აღნიშნული ქმედებით ლიხნის პეტიციის ავტორების ერთგვარი დასჯა მოხდა. რაც უნდა გამხდარიყო რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარე აქციის დაშლის საბაბი. თუმცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა აფხაზეთის საკითხი გვერდზე გადაწიეს და წინა პლანზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა გამოიტანეს. მათ მთავრობის სახლის წინ შეკრებილ ათასობით ადამიანს უთხრეს, რომ აფხაზეთი ეს იყო კრემლის მიერ შემოგდებული ხელოვნური თემა და აქციისა და მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ამოცანა საბჭოთა კავშირისგან საქართველოს გამოყოფა უნდა ყოფილიყო.

თბილისში ხალხი ქუჩაში აფხაზეთის ქართველობისთვის სოლიდარობის გამოსახატავად გამოვიდა. სოხუმის უნივერსიტეტში „ქართულმა ნაწილმა“ თავი თბილისის უნივერსიტეტის ფილიალად გამოაცხადა. აფხაზებს მიეცათ საბაბი ეთქვათ, რომ ქართველები ცდილობდნენ უნივერსიტეტის ეროვნული ნიშნით გახლეჩას და 1989 წლის ივლისში სოხუმში ერთდროულად ქართველების და აფხაზების მიტინგები გაიმართა. მცირე პროვოკაცია საკმარისი გახდა, დანებით და სანადირო თოფებით შეიარაღებული აფხაზები მშვიდობიან ქართველ მომიტინგეებს მივარდნოდნენ. სწორედ აქ დაიღუპა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ აფხაზეთის ფილიალის ხელმძღვანელი ვოვა ვეკუა და მასთან ერთად კიდევ რამდენიმე ქართველი. რომ არა 9 აპრილის ტრაგედია,

როგორ განვითარდებოდა მოვლენები განსჯა რთულია. თუმცა ცხადია, რომ 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს ისტორიის ახალი ფურცელი გადაიშალა. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა შეკრებები მიმდინარეობდა შეძახილებით „დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარჯოს“, მაგრამ ამ შეკრებებს თან სდევდა უკიდურესი შეუთანხებლობა ურთიერთ დაპირსიპირებებით.

1989 წელს 9 აპრილს, გამთენიისას, მაშინ, როცა მშვიდობიანი აქციის, მათ შორის მოშიმშილეების დასჯის გადაწყევტილება კრემლში უკვე მიღებული იყო, აქციის მონაწილეებმა და ორგანიზატორებმა არ მიიღეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თხოვნა და მოწოდება – გადაენაცვლათ ქაშუეთის ტაძარში და ამით თავიდან აეცილებინათ საშინელი საფრთხე. ისმოდა შეძახილები: „ არა! ფიცი გვაქვს ნათქვამი!“ ღმერთს შევფიცეთ!“ და ეს – „არა!“ – საბედისწერო გახდა 21 ადამიანისთვის. საბჭოთა სადამსჯელო ოპერაცია იყო სამაგალითოდ სასტიკი. საქართველოში გლოვა გამოცხადდა. „დღეს არის ჩვენი გლოვა და ჩვენი სულის ზეიმი...“- ანუგეშებდა სიონის ტაძარაში შეკრებილ მრევლს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

1989 წლის 9 აპრილი გამორჩეული თარიღია. ის განსკუთრებულია არა მხოლოდ თავისი ტრაგიკული შინაარსითა და მსხვერპლი, არამედ – შედეგების თვალსაზრისითაც. 9 აპრილიდან რამდენიმე დღე იყო გასული, როდესაც მწერალმა ჯემალ ქარჩხაძემ ერთ -ერთ საგაზეთო ინტერვიუში ბრძანა: ბოლო ათწლეულებში ქართველებმა ბევრი ცოდვა დავიდეთ, თუ უმანკო სისხლი, რომელიც ამ დღეებში დაიღვარა, საკმარისია ჩვენი ცოდვების გამოსყიდვისთვის, ქვეყანაში სიმშვიდე დაისადგურებს, თუ არადა, სისხლი კიდევ დაიღვრებაო. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რაოდენ წინასწარმეტყველური იყო ეს სიტყვები. გავიდა ორიოდე წელიწადი და ქართველებმა, რომლებიც 9 აპრილს ერთ მუშტად შეკრულნი გლოვობდნენ უმანკო მსხვერპლს, ერთმანეთის სისხლი დაღვარეს. დღემდე ცოტა ვინმე თუ აცნობიერებს, რომ შემდგომში განვითარებული მოვლენები, შესაძლოა, სწორედ 9 აპრილის გაგრძელება იყო.

ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ ცხადი გახდა, რომ რუსეთი სერიოზულად იყო დაინტერესებული ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებით. შევარდნაძის დაბრუნებისთანავე, 1992-დან 1995 წლამდე ძალაუფლება მთლიანად პრორუსული ძალების ხელში გადავიდა და სწორედ რუსული სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი სცენარით მოქმედებდნენ მხედრიონის და მისი ფრთის ქვეშ მყოფი სხვადასხვა ავაზაკების შეიარაღებული კრიმინალური ბანდები, რომლებმაც საძმოები დაირქვეს და პირნათლად ასრულებდნენ აგენტურულ დავალებებს.

სამოქალაქო ომისა და უკიდურესი გაჭირვების ფონზე შევარდნაძის პოლიტიკური ფიგურა გამოჩნდა, როგორც „ერთადერთი“-ლიდერი, რომელიც საქართველოს მოუტანდა საერთაშორისო აღიარებას და, შესაბამისად, სტაბილურობას, მშვიდობას, კეთილდღეობას. დღევანდელი გადასახედიდან ძნელი სათქმელია, რომ ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნება და შემდგომი ათი წელიწადი მაინცდამაინც 9 აპრილის პოლიტიკური შედეგი იყო, მაგრამ პოლიტიკური ლოგიკა ულმობელია და მკაფიოდ მიუთითებს ზემოთ აღწერილი პროცესის ერთიანობაზე. ის, რაც დღეს ხდება და, ვინ იცის, როდის დასრულდება, სწორედ 9 აპრილის ტრაგიკულ ღამეს დაიწყო. როგორც იკვეთება, არც შეიარაღებული სამხედრო ფორმირებების შექმნა ყოფილა შემთხვევითი, იმ ფორმირებების რომლებმაც ჯერ ზვიად გამსახურდიას დამხობაში შეიტანეს უდიდესი წვლილი, შემდეგ შევარდნაძეს წითელი ხაზების გადაკვეთამდე ემსახურნენ. მანამდე კი სამეგრელო უმოწყალოდ ააწიოკეს და უდანაშაულო ხალხის სისხლის გუბეები დააყენეს.

მოგვიანებით, მაოხრებელი მიხეილი მოგვევლინა პრეზიდენტად და უკვე გამოცდილ-გამობრძმედილი, სისხლს მოწყურებული ავაზაკების რეანიმაცია მოახდინა. ძველმა ავაზაკებმა ახლები გაზარდეს და დღესაც მიხეილის, ედუარდის და მათი მარჩენალი რუსეთის აგენტურა გააფთრებული ცდილობს ქვეყნის აღმშენებლობას ხელი შეუშალოს და თეთრი შავად მოგვაჩვენოს. ნაცმაცუნები უსტარს უსტარზე აგზავნიან ევროპასა თუ ამერიკაში ჩვენი ქვეყნის და ხელისუფლების დასაკნინებლად და უტიფრად ამტკიცებენ, რომ ჟორიკა რურუა პოლიტპატიმარია. სისხლს მოწყურებული ტურების ხროვა კვლავ ცდილობს ქვეყანა არიოს და ამიტომაც გაისმა მოწოდება 9 აპრილს შეიკრიბოს საღად მოაზროვნე საზოგადოება და ერთად გადაწყვიტოს როგორ გაანეიტრალოს ის ავაზაკების ხროვა, რომელიც დღემდე ძალადობს საქართველოზე.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ლაშა ნადარეიშვილი

ჩემი სახელი საქართველოა!

აქ
ვარსკვლავების
იყო
რთველობა,
დღეს კი
ეკალი
ფარავს
ვაზიანს...
ჩემი სახელი
საქართველოა!
ჩემი
ხელმწიფე
ფარნავაზია!

ელის
თევდორეს
მძიმე
სამკალი,
დუშმანი
ცოცხალს
როგორ
დატოვებს...
ამარევინე
მტრისთვის
გზა-კვალი,
რომ
სამშობლოსთვის
მოვკვდე
მარტო მე!

რუსული ცარცის წრე საქართველოსთვის

ბოლომდე რომ შეგვჭამს მტერი, მერე საქართველოს ფიტული უნდა დაასვენოთ თქვენს მუზეუმებში წარწერით: ნეშტი ქვეყნისა, რომელიც თავისუფლებისთვის ბრძოლას და ჩვენთან მეგობრობას შეეწირა

ვახტანგ ხარჩილავა:

ხუთი თვე გრძელდება მოლაპარაკებები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, მაგრამ შეთანხმება მაინც ვერ შედგა, თუმცა, ამ ერთი შეხედვით უშედეგო შეხვედრებმა, იქ გამართულმა დებატებმა და დისკუსიებმა ერთი ნაყოფი მაინც გამოიღო — როგორც იქნა, ხმამაღლა, ცხადად და გარკვევით ითქვა, რომ ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, რუსეთის ინტერესებში შედის, ყველაფერი ეს რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს.

ამ შეფასებაში ერთსულოვანნი

აღმოჩნდნენ როგორც ევროკავშირის წარმომადგენლები, ასევე ამერიკელი სენატორებიც, თუმცა ამ ერთსულოვან, მაგრამ ზოგადი ხასიათის შეფასებას რატომღაც არ მოჰყოლია კონკრეტული მსჯელობა იმის შესახებ, თუ ვინ არიან პერსონალურად ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც თავიანთი ქმედებებით რუსეთისთვის ხელსაყრელ სიტუაციას ქმნიან საქართველოში.

არადა, თუ ეს არ მოხდება, ჩვენი დასავლეთელი მეგობრების გულმხურვალე მოწოდებები პოლიტიკური პარტიების მისამართით, საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებზე მაღლა ქვეყნის ინტერესები დააყენეთ, თორემ საქართველოს ისტორიულ არჩევანს, შევიდეს ევროკავშირში, გაწევრიანდეს ნატოში, საფრთხე ემუქრებაო, უდაბნოსა შინა მღაღადებელ ხმასავით უკვალოდ და ურეაქციოდ ქრება.

ცხადია, თავის თავზე არავინ იღებს ამ მინიშნებას და არავინ აღიარებს, რომ თავისი საქციელით, უფრო ზუსტად, უსაქციელობით, ოკუპანტი სახელმწიფოს შორსმიმავალ მიზნებს ემსახურება.

ოპოზიციური პარტიები ლაპარაკობენ გაყალბებულ არჩევნებზე, მაგრამ, როცა გაყალბებაზე ლაპარაკობ და ამ დროს ყველა საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაცია ამტკიცებს, რომ არჩევნები არ გაყალბებულა და საარჩევნო პროცესმა თავისუფალ, კონკურენტუნარიან და სამართლიან გარემოში ჩაიარა, როცა გაყალბებაზე ლაპარაკობ და ამ დროს ბარიერგადალახული ცხრა პარტიიდან ერთის, „ქართული ოცნების“ გარდა, რვა ოპოზიციური პარტიაა და მანდატების უპრეცედენტო რაოდენობას, სამოც მანდატს, ფლობ და მაინც არ შედიხარ პარლამენტში, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში შესვლა და იქიდან ბრძოლის გაგრძელება გაცილებით მომგებიანია, ვიდრე ქუჩაში ყოფნა, ისმის სრულიად ლეგიტიმური კითხვა: რას ემსახურება ეს შენი „თავგანწირული“ ბრძოლა, როცა ის შენს პოლიტიკურ ინტერესებს არანაირად არ ემსახურება?

— რას ემსახურება და რუსეთის ინტერესებს! — ასეთია დასავლეთის დასკვნა.

კი, მაგრამ, როცა ესა თუ ის პოლიტიკური ორგანიზაცია უცხო ქვეყნის ინტერესებს ემსახურება, რა ჰქვია ამას?

რა ჰქვია და აგენტურული საქმიანობა, ხოლო, ვინც ამას აკეთებს, იმას — აგენტურა.

აგენტურას ველაპარაკებით ამდენი ხანი დემოკრატიაზე, სამართლიან არჩევნებზე, პოლიტიკურ მართლმსაჯულებაზე?

მეტი რა ჰქნას ამ ოპოზიციამ, კიდევ რით უნდა დაამტკიცოს, რომ საქართველოს და ქართველი ხალხის ბედი ფეხებზე ჰკიდია, მთავარია, პირნათლად შეასრულოს „ცენტრიდან“ მიღებული დირექტივა: არ შევიდეს პარლამენტში, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ისედაც დაძაბული სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბოს, გამოიწვიოს ქაოსი, არეულობა, როგორმე მოახდინოს სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირება და ამ ფონზე მოვიდეს ხელისუფლებაში.

— ხელისუფლებაში მოსვლა ნებისმიერ ფასად! — ასეთია ოპოზიციად წოდებული ამ აგენტურის მთავარი მიზანი, რისკენაც ის დაჟინებით და მტკიცედ მიისწრაფვის, გზადაგზა კი წარმატებით აშანტაჟებს საქართველოს ხელისუფლებას, ქართველ ხალხს, ევროკავშირს, აშშ-ის კონგრესს და სენატს — თუ ამ სურვილს არ შემისრულებთ, ქვას ქვაზე არ დავტოვებთო.

შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ისეთ სერიოზულ თემაზე, როგორიც ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ჩამოვარდნილი დიდი უთანხმოების თემაა, ზედმეტად უტრირებულად და მარტივად ვსაუბრობ, თუმცა, მერწმუნეთ, ზუსტად ასეთი მარტივი და იოლად გასაშიფრია ის სიუჟეტური ქარგა, რაც ამ უთავბოლოდ გაწელილი მოლაპარაკებების დრამატურგიას უდევს საფუძვლად.

კიდევ უფრო გულახდილები თუ ვიქნებით, ამ დაპირისპირების მოსაგვარებლად დიპლომატები და პოლიტიკოსები კი არ უნდა ღვრიდნენ ამდენ ოფლს, არამედ აშკარად კრიმინალურ და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ამ პროვოკაციულ ქმედებებს უშიშროების სამსახური და სამართალდამცავი ორგანოები უნდა იძიებდნენ და თუ დახმარებაა, ჩვენი პარტნიორები სწორედ ამ კუთხით უნდა გვეხმარებოდნენ.

გამოძიება უნდა დაიწყოს არა მხოლოდ 31 ოქტომბრის შემდეგ განვითარებული მოვლენებიდან, არამედ 2019 წლის 20 ივნისის ე.წ. გავრილოვის ღამიდან, რაც პარლამენტში შეჭრის და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო.

რაც დღეს ხდება, ეს 20–21 ივნისს დაწყებული შეუმდგარი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის პირდაპირი გაგრძელებაა, ოღონდ სხვა ფორმით და სხვა შინაარსით, რომლის შეწყვეტასაც ოპოზიცია მანამდე არ აპირებს, სანამ საწადელს არ მიაღწევს.

ამ ხელოვნურად შექმნილი კრიზისის განმუხტვის ეფექტურ საშუალებად ოპოზიციის მხრიდან რიგგარეშე არჩევნები სახელდება.

იგულისხმება, რომ, ოპოზიციის გათვლით, რიგგარეშე არჩევნებში „ქართული ოცნება“ აუცილებლად უნდა დამარცხდეს და ხელისუფლებაში ოპოზიცია უნდა მოვიდეს, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ელექტორატის მკვეთრად უარყოფით განწყობას ოპოზიციის, განსაკუთრებით კი მისი იდეოლოგიური ცენტრის „ნაცმოძრაობის“ და სააკაშვილის მიმართ, დიდი ალბათობით, ოპოზიცია ვერც რიგგარეშე არჩევნებში მოიპოვებს გამარჯვებას.

რა ხდება ამ შემთხვევაში?

ქვეყანა ისევ იმ წრეზე უნდა წავიდეს, რომელ წრეზეც ვტრიალებთ ამდენი ხნის განმავლობაში?

ჩვენი ვარაუდით, რიგგარეშე არჩევნებში თავიდან ვერ ავიცილებთ იმას, რისი აცილებაც 31 ოქტომბრის არჩევნების დროს მოვახერხეთ — სამოქალაქო დაპირისპირებას, რომლის პროვოცირებასაც დამარცხებული ოპოზიცია აუცილებლად შეეცდება, რადგან მას დასახული მიზნის მიღწევის სხვა საშუალება არ რჩება.

გამოდის, რომ რიგგარეშე არჩევნების ჩატარება სულაც არ არის კრიზისის განმუხტვის და მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების გარანტი.

პირიქით, ის ახალი, კიდევ უფრო მძაფრი და უკომპრომისო დაპირისპირების მაპროვოცირებელი მოვლენა შეიძლება გახდეს.

რიგგარეშე არჩევნები სხვა არაფერია, თუ არა კრიზისის დროებითი გადავადება.

მაშ, სად არის გამოსავალი?

გამოსავალი არის იქ, სადაც ის ყოველთვის, ყველა დროში და ყველა სიტუაციაში იყო.

ამ გამოსავალს კანონის უზენაესობა ჰქვია, სამართლიანობის აღდგენა ჰქვია, დამნაშავეთა ობიექტურად და სამართლიანად დასჯა ჰქვია, კონსტიტუციის პატივისცემა ჰქვია, სახელმწიფოებრივად აზროვნება და სახელმწიფო ინტერესების დაცვა ჰქვია.

საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დღემდე, ანუ 30 წლის განმავლობაში დაშვებული უმძიმესი შეცდომების მწარე ნაყოფს იმკის. შეცდომებია, კი ვამბობთ, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ შეცდომები — ეს არის უმძიმეს დანაშაულთა მთელი კასკადი, დანაშაულებათა ჯაჭვი, რომლის გაწყვეტა 2012 წელს ვცადეთ და თითქმის გავწყვიტეთ, მაგრამ მოვიდა მჭედელი იგი, სახელად კოაბიტაცია და ეს გაწყვეტამდე მიყვანილი ჯაჭვი ისევ გაამთელა.

საქართველო მოცემულ მომენტში ამ შეცდომების და დანაშაულების მძევალია, თუმცა, რაც დღეს ხდება, ეს არ არის მხოლოდ საქართველოს ბრალი, ამაში თავისი ლომის წილი იმ დასავლეთსაც მიუძღვის, რომლისკენაც უყოყმანოდ ავიღეთ გეზი დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღიდან იმ იმედით, რომ დასავლეთი დაგვიცავდა და თავის კალთას გადაგვაფარებდა, მაგრამ ფუჭი აღმოჩნდა ჩვენი მოლოდინი.

30 წელია ნატოს და ევროკავშირის კარებთან ვდგავართ და ვიხვეწებით, რომ შიგნით შეგვიშვან, რადგან გამხეცებული და დაუნდობელი მდევარი მოგვდევს, რომელმაც თავისი ბასრი კბილებით უკვე მოგვაგლიჯა სხეულის 20 პროცენტი.

სანამ თქვენს თვალწინ, თქვენს კარებთან, ბოლომდე არ შეგვჭამს და ბოლომდე არ გადაგვყლაპავს ეს სასტიკი მდევარი, მანამდე შიგნით არ უნდა შეგვიშვათ, ძვირფასო მეგობრებო დასავლეთიდან?

ბოლომდე რომ შეგვჭამს მტერი, მერე საქართველოს ფიტული უნდა დაასვენოთ თქვენს მუზეუმებში წარწერით: ნეშტი ქვეყნისა, რომელიც თავისუფლებისთვის ბრძოლას და ჩვენთან მეგობრობას შეეწირა.

საქართველო კი არა, დასავლეთიც მძევალია იმ შეცდომების, რომლებიც მან საქართველოსთან მიმართებაში დაუშვა.

დასავლეთმა თავის დროზე არ დაარქვა საგნებსა და მოვლენებს თავისი ნამდვილი სახელი და ეს ყველაფერი დღეს ბუმერანგივით მოუტრიალდა უკან.

დღეს მას ის ძალები დაუპირისპირდნენ, რომლებიც დასავლეთმა ბევრჯერ იხსნა ქართველი ხალხის რისხვისგან.

ძნელი სათქმელია, რატომ მიაჩნდა დასავლეთს პროდასავლურად ეს ძალები, რომლებიც სიტყვით პროდასავლურობას იჩემებდნენ, მაგრამ საქმით რუსულ საქმეს აკეთებდნენ.

რუსული ცარცის წრეა ის წრე, რომელშიც დღეს საქართველო ტრიალებს და მასთან ერთად ტრიალებს დასავლეთიც.

როგორ უნდა გამოვიდეთ ამ მოჯადოებული წრიდან, საკითხავი, აი, ეს არის...

მჯერა ასპარეზზე აუცილებლად გამოჩნდება ქართველი ხალხი, რომელიც უკვე მესამე ძალად ჩამოყალიბდა. სწორედ ის დაასრულებს იმ ბალმასკარადს, რაც დღეს რუსთაველზე ხდება

ვინ არის მზად საქართველოს სახელმწიფოებრივი, ეროვნული ინტერესები დაიცვას? — ვფიქრობ, ამის უნიკალური შანსი აქვს ირაკლი ღარიბაშვილს

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი ДИМИТРИ ЛОРТКИПАНИДЗЕ:

— ბატონო დიმიტრი, „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებას პრო-რუსულობაში ადანაშაულებს. არადა, ოპოზიციას დასავლელმა მედიატორებმა პირდაპირ უთხრეს, რომ რუსეთის საქმეს აკეთებენ. გამოსავალს რაში ხედავთ?

— მოგეხსენებათ, რუსეთის თემით ლავირება ქართულ რეალურ პოლიტიკაში ახალი არ არის. ყოველ

ფრაზაში რუსეთი გაიჟღერებს-ხოლმე. ამ ბოლო დროს, როცა პოლიტიკურმა კრიზისმა პიკს მიაღწია, რუსეთით მანიპულირება კიდევ უფრო აქტუალური გახდა. რუსეთი, რა თქმა უნდა, თავის ინტერესებს ემსახურება. იგი დაინტერესებულია, რომ საქართველოში არსებული კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდეს. ის რაც დღეს საქართველოში ხდება, ნამდვილად, ამზადებს ძალიან ნოყიერ ნიადაგს ისეთი სამოქალაქო აქტისთვის, რასაც ადრე, საქართველოს ისტორიაში ადგილი არ ჰქონია. ეს გახლავთ სოციალურ ნიადაგზე არსებული უკმაყოფილება, რამაც მართლაც ისეთ სახიფათო ნიშნულს მიაღწია, შესაძლოა საზოგადოება ქუჩაში გამოვიდეს. მივიღეთ კლასობრივი სეგრეგაცია. უმუშევართა რიცხვი მატულობს, სურსათი ძვირდება და ეს იმ პირობებში, როდესაც მსოფლიო საბაზრო ეკონომიკური პარადიგმიდან გამომდინარე, საქართველოს ძალიან ბევრი მიმართულებით თავისი წარმოება არ გააჩნია. ქვეყანაში არსებული სასურსათო პროდუქციის 86% ქვეყნის ფარგლებს გარედან არის შემოტანილი. დანარჩენს საქართველოში ვაწარმოებთ.

— რუსეთიც გვამარაგებს ხომ სასურსათო პროდუქციით?

— დიახ, რა თქმა უნდა. რუსეთის ფედერაციიდან პროდუქციის საკმაოდ დიდი მარაგი შემოდის. აქ, კი მართლა შეგვიძლია ვიკითხოთ: პოზნერის ჩამოსვლა და მასთან დაკავშირებული სუვერენიტეტის შელახვის საკითხები განა ასეთი აქტუალურია მთელი ერის თავმოყვარეობისა და ღირსების შეფასების თვალსაზრისით და ის, რომ ქვეყანა პურით მთელი 100%-ით რუსეთის ფედერაციიდან მარაგდება, ეს არ არის ეროვნული თავმოყვარეობის შელახვის საკითხი და შეფასების საგანი?! ვფიქრობ, პოზნერთან დაკაშირებული აჟიოტაჟი შემთხვევითი არ ყოფილა შემდეგი მიზეზის გამო: საქართველო ძალიან ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით სხვებზე დამოკიდებული სახელმწიფოა და მისი ფაქტობრივი, ვერშემდგარი სუვერენიტეტი, ჩვენი პარტნიორების ხელში, იოლი მართვის სადავეს წარმოადგენს. პარტნიორები, ამ შემთხვევაში, მხოლოდ ფორმალური სახელწოდებაა. თორემ, რეალური ბერკეტების ამოქმედების თვალსაზრისით, მათ პარტნიორებს ძნელად თუ ვუწოდებთ.

— რას გულისხმობთ?

— მაგალითად, აშშ-ს საქართველოში პირდაპირი ინვესტიციები საერთოდ არ განუხორციელებია. ასეთი რამ არ არსებობს. არ არსებობს რაიმე პრეფერენცია, შეღავათი ისეთი მიმართულებით, რაც ქართველ მეწარმეს საშუალებას მისცემდა მასობრივად ეწარმოებინა ისეთი პროდუქტი, რომელსაც ევროპაში შეიტანდა და ეს საქართველოს ეკონომიკურ სარგებლიანობას მოუტანდა. რჩება ისევ და ისევ ჩვენი სამეზობლო, რომლის უდიდესი ნაწილი ევრაზიული კავშირის წევრია. საქართველომ ევრაზიულ კავშირთან ურთიერთობაზე უარი განაცხადა. საქართველოს უარს ეუბნებიან ნატოში გაწევრიანებაზე. ეს საკითხი რაც დრო გადის უფრო ბუნდოვანი ხდება. საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხი ჩვენი ქვეყნისთვის სრულიად აბსტრაქტული მომავალია. ეს გახლავთ ქვეყანა, რომელსაც კონკრეტული გზამკვლევი, კომპასი არ გააჩნია. ამასობაში, ბოლო 30 წლის განმავლობაში ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის, დაახლოებით, 1/3 ქვეყნიდან გასულია; შობადობას სიკვდილიანობამ გადაასწრო; ქვეყანას კვლავაც უკანმოუხედავად ტოვებს ათი ათასობით ადამიანი.

რა უნდა იყოს ამაზე შავი და ბნელი — სამოქალაქო ომი თუ საომარი გარე ფაქტორები და მტრის სახის ღიად დანახვა? — არც ეს გვაკლია. პრობლემას მხოლოდ ხალხი ხედავს. ხალხი არც ხელისუფლებას აინტერესებს და არც ოპოზიციას. ანუ, ქვეყანა სამ რგოლად არის გაყოფილი — ხელისუფლება, „ნაცმოძრაობა“ და ხალხი. სამივე რგოლი სრულიად აცდენილი და დაშორიშორებულია ერთმანეთს თავიანთი ღირებულებებით, ხედვებით, გამოწვევების იდენტიფიკაციით, რაც სრულიად გაუგებარს ხდის რასთან გვაქვს საქმე. ისმის კითხვა — ვინ არის მზად საქართველოს სახელმწიფოებრივი, ეროვნული ინტერესები დაიცვას? — ვფიქრობ, ამის უნიკალური შანსი აქვს ირაკლი ღარიბაშვილს. მინდა, იმედი მქონდეს, რომ განგება ღარიბაშვილს შეუძლებელს შეაძლებინებს.

მჯერა, არსებობს ისეთი წითელი ხაზები, რომელთან დაკავშირებითაც დიდიც და პატარაც ფეხზე დადგება და ის ბალმასკარადი, რაც დღეს რუსთაველზე ხდება, დასრულდება. დიახ, რუსთაველის გამზირის სწორედ ის მონაკვეთი რომელიც ისტორიულად მუდმივად საპროტესტო აქციების დისლოკაციის ადგილია, ამ ქვეყანაზე შეყვარებული, მოტივირებული, მართალი ადამიანებით შეივსება. მჯერა, რომ ეს მალე მოხდება. ამას უფალი თავად დაუშვებს. ღრმად მწამს, რომ უფალი ქართველ ხალხს არ მიატოვებს და აუცილებლად მოხდება ქართული საზოგადოების კონსოლიდაცია. ეს ვიღაცას შეიძლება დაუჯერებლად ეჩვენება, მაგრამ ნახავთ, რომ ეს აუცილებლად მოხდება და ამ პროცესში საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი ხალხიც გამოჩნდება.

— ანუ, მესამე ძალა იტყვის თავის სათქმელს?

— კი, კი ხალხი იტყვის თავის სათქმელს, რომელიც რომელიმე პოლიტიკოსს კი არ გაჰყვება ან პარტიის შექმნის მიზნით კი არ გაერთიანდება, არამედ გაერთიანების ერთადერთი მთავარი ქვაკუთხედი სწორედ იმ გაუგონარი ალვირახსნილობის დასრულება იქნება, რაც დღეს ქვეყანაში სუფევს. ხალხი ხელისუფლებისგან, ოპოზიციისგან განცალკევებულად დგას. იგი, აბსოლუტურად, დამოუკიდებელ კონგლომერატად არის ჩამოყალიბებული. დიახ, ქვეყანა სამ დიდ ნაწილად გაიყო — ხელისუფლება, ოპოზიცია და ხალხი.

— რა გზას უნდა დაადგეს საქართველო, თუნდაც რუსეთთან ურთიერთობისას?

— საქართველოში დამოუკიდებელი პოლიტიკის მატარებელი არც ხელისუფლებაა და არც ოპოზიცია. ყველასთვის ძალიან კარგად გასაგებია ერთი მთავარი რამ, რაც ზედაპირზე დევს: რუსეთი არის ჩვენი მეზობელი, რომელიც დედამიწის 1/8-ზეა გადაჭიმული. დღეს, იქ, წასვლასაც ვერ ვახერხებთ. მცირედი წვლილი, 2019 წლის ივნისამდე, ტურისტების შემოსვლაში, კულტურული, სპორტული ღონისძიებების ჩატარების კუთხით, „ქართულ-რუსულ საზოგადოებრივ ცენტრსაც“ მიგვიძღვის. ეს ყველაფერი მას მერე, რაც კონგრესმენმა კიზინგერმა განაცხადა: რუსეთიდან ტურისტების ასეთ მოზღვავებას რუსული ეკონომიკური და პოლიტიკური ექსპანსია მოჰყვება და ცოტა ხანში საქართველო რუსეთის სრულ დაქვემდებარებაში აღმოჩნდებაო. სწორედ ამის მერე გათამაშდა 20 ივნისის სცენა. იმდენად სწრაფად ჩაიჭრა ეს თოკები და ისე აღმოჩნდა მათი ბიზნესები დახურვის პირას, რომ ადამიანებმა უკან მოხედვა ვერ მოასწრეს.

მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს რუსეთით აშინებენ, საბოლოო ჯამში, რუსეთის ფაქტორი ერთ-ერთი ყველაზე უფრო გადამწყვეტი და მნიშვნელოვანია, რასაც ნებისმიერი ქართველი კარგად ხედავს. ასე იყო ტრადიციულად და ასე უნდა გაგრძელდეს. არ შეიძლება, ჩვენ, საკუთარ არჩევანთან მიმართებით პრეტენზია არ გვქონდეს მაშინ, როცა ერთი მხრივ, დეოკუპაციის კონცეფცია არ ჩამოგვიყალიბება და მეორე მხრივ, ოკუპანტთან გაცხოველებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს ვაწარმოებთ. ეს არაფერში ჯდება. მსოფლიოში არ არსებობს ორი ისეთი სახელმწიფო, რომლებიც ჩართულნი არიან საომარ მოქმედებებში, გაწყვეტილი აქვთ დიპლომატიური ურთიერთობა და ამ დროს, ეკონომიკური ურთიერთობების ნიშნულები ყოველთვიურად იზრდება. ეს აბსოლუტური ნონსესია. ეს არსებობს მხოლოდ ქართულ-რუსულ ურთიერთობებში, რაც ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მთელი ეს მტრობა, ვაკჰანალია თავს მოხვეულია და ამას ჩიხიდან გამომყვანი ანტიდოტიც გააჩნია. ამ ანტიდოტს არც დღევანდელი და არც გუშინდელი ხელისუფლებები არ მოძებნიან იმიტომ, რომ მათ უკან მდგომი პატრონებისთვის ეს, აბსოლუტურად, მიუღებელია. იმიტომ, რომ საქართველო სწორედ ზე-სახელმწიფოთა დაპირისპირების პლაცდარმი უნდა იყოს. დიახ, საქართველო არ განიხილება რუსეთთან გადატვირთვის რეჟიმში. არ განიხილება არც დეოკუპაციის კონცეფცია. მიუხედავად ამ ყველაფრისა, დღემდე, ამ პროცესის ლოგიკურ გაგრძელებამდე ვერ მივედით. აი, ამ დღეში ვართ. ქართველი ხალხის გამოფხიზლების ჟამი დგება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

როგორ ისრნებოდა ქართული ჟურნალისტიკა

ალბათ ხვდებით, ეს იმ წერილის გაგრძელებაა, წინა ნომერში რომ დავიწყე ქართული ჟურნალისტიკის გასაჭირზედ და თანაც დაგპირდით, მომავალში უფრო მწარედ, უფრო დაუნდობლად მოვიქცევი-მეთქი.

ჰოდა, ახლა პირობას ვასრულებ.

მოდით, მეგობრებო, დავსხდეთ და გავარჩიოთ, როდის, რა პირობებში და რატომ დაიწყო ჩვენი, ასე თუ ისე, საპატიო პროფესიის გახრწნა? როდის და რატომ დაიწყო ლპობის პროცესი? წინა წერილში ვთქვი და ვიმეორებ: ამ სფეროში ვირთხები ყოველთვის იყვნენ, მაგრამ ამინდს ვერ ქმნიდნენ, აღლუმი ვერ მიჰყავდათ. იმ პერიოდში, როცა ოფიციალურ ჟურნალისტიკაში პირველი ნაბიჯები გადავდგი, ირგვლივ ჯერ კიდევ სოციალიზმი სუფევდა. ეს იყო 1980-იანი წლების დასასრული (1987 და შემდეგ), 25 წლის ასაკში, ამჟამინდელი გადასახედიდან, ბევრი არაფერი მესმოდა, მაგრამ ვატყობ, იმ დროის კვალობაზე კრიტიკულ სიტუაციებში მაინც სწორი სვლები გამიკეთებია. ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას მოსვლამდე, ანუ

მორღვეული სოციალიზმის ეპოქაში ჩემი უფროსი კოლეგები სოციალური სიკეთეებით უფრო სარგებლობდნენ, ვიდრე პოლიტიკურით. პრინციპში, სად იყო პოლიტიკა? როგორც ცენტრალურ კომიტეტში დაუკრავდნენ, ისე უნდა ეცეკვათ და დასკვნებიც სათანადო გაეკეთებინათ. იყვნენ ელიტარული ჟურნალისტები, გადაცემების წამყვანები, პოლიტიკურ-ეკონომიკური მიმომხილველები, ანუ გავლენიანი ფიგურები და იყვნენ ჩვეულებრივი, რიგითი კორესპონდენტები, ჟურნალისტები, რომლებსაც (თითქოს წესი იყო) საშუალო დონეზეც ვერ უნდა ეცხოვრათ, პატიოსანი კალმით, პატიოსანი შრომით მეტი არ უნდა გამოსულიყო. ქრთამები, საჩუქრები, ბინები, მანქანები, თუნდაც კუთვნილი რამე-რუმეები ცნობილი „მოღვაწეების“ არეალში ტრიალებდა. ამ არეალში ცხვირი რომ შეგეყო, დიდი ბრძოლა, დრო, გამოცდილება და გავლენის მოპოვება იყო აუცილებელი. ამას კი აუცილებლად ზემოთ ბიძა (ყუფარაძე), რომელიც პერიოდულად ქვემოთ დარეკავდა და ასევე საჭირო იყო ვინმე ქვემოთ, რომელიც გზას გაგიკვალავდა, ქიცსაც და ქიცმაცურსაც გასწავლიდა. რაც მთავარია, თვითონ უნდა გქონოდა შესაბამისი ყნოსვა, ხედვა და ალღო. აქ მთავარ ფაქტორად გახლდათ გასათვალისწინებელი ხალხური თეორია: ვინც აჩმახებს, მას უფრო აფასებენ. ეს თეორია მუდმივია და ყველა დროში მუშაობს. სანამ ტელე-რადიო კომიტეტში დავიწყებდი მუშაობას ჩემი ლექტორების წყალობითა და რეკომენდაციით, ერთი წელიწადი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გავატარე სტაჟიორად. მაშიც ეს გაზეთი ქუხდა, იქ უკვე იგრძნობოდა „პერესტროიკის“ დიდი სიო და თან ჟურნალისტების ისეთი ნიჭიერი თაობა წამოვიდა, ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა. ესენი იყვნენ: პაატა ნაცვლიშვილი (რედაქტორი), ბონდო ქურდაძე, თამაზ ჭეიშვილი, თემურ ჟღენტი, ბესო ჭინჭარაული და სხვები. მოკლედ, გაზეთში ვარ, რესპუბლიკის წამყვან ორგანოში, სამართლიანობის განცდა მაწვალებს, პატრიოტიზმი მიღიტინებს, დავდივარ მივლინებებში, ნაკლოვანებებს ვებრძვი, ზოგს ვაქებ, ზოგს ვაშავებ, ზოგს ხსნიან, ზოგს აჯილდოებენ, ვარ ჩაფლული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მიმყავს ჩემი წილი აღლუმი და შემოქმედებითად ვიწვი. თავიდანვე ერთი უცნაური სენი მჭირდა და მგონი დღემდე გამომყვა – ჩემ კუთხეზე, ჩემ სოფელზე აუგი არც უნდა მეთქვა, არც უნდა დამეწერა, კახეთი და მით უფრო სიღნაღი საკუთარ ოჯახად მიმაჩნდა, რომელსაც ცუდად არ უნდა შევხებოდი. ცუდად შეხებაში კრიტიკას ვგულისხმობ.

მოკლედ, ის პერიოდია... ჩავალ სიღნაღის რაღაცების დასაწერად, რეპორტაჟებისა თუ ნარკვევების მოსამზადებლად, შევახტები ავტობუსს ან ტაქსსა და დავბოდიალობ სოფლიდან სოფელში, კოლმეურნეობიდან კოლმეურნეობაში, ფერმიდან ფერმაში. პარტიის რაიკომშიც იციან, კომკავშირის რაიკომშიც იციან, თბილისიდან სტუმარი როა ჩამოსული, მაგრამ ყურადღებას არ მაქცევენ პრინციპით – მაინც ჩვენი ბიჭია, ცუდს არაფერს იზამს. მართლაც, ცუდს არაფერს ვშვრებოდი, გადაშლიდნენ გაზეთს, ნახავდნენ „დიმპიტაურ-დამპიტაურს“ და იმასაც აღარ კადრულობდნენ, მადლობისთვის დაერეკათ.

ერთხელაც ჩასული ვარ, მორიგი „ლაშქრობისთვის“ ვემზადები. მამაჩემი მეძახის, დაჯექი, უნდა გელაპარაკოო. მაიცა, რააა, მეჩქარება-მეთქი!

დაჯექი, ყური დამიგდეო. ჩვენთან რაიონიდან კორესპონდენტი რო ჩამოვა ხოლმე, მთელი კოლმეურნეობა (ბრიგადირად მუშაობდა) ფეხზე ვდგავართ, აღარ ვიცით, რით ვასიამოვნოთ, შენ კიდე ტაქსებით რო დაყიალობ, მანქანა მაინც გამოგიყონ, არ შეიძლებაო? აღარ უთქვამს, შე შობელძაღლო, ფული მე როდემდე უნდა გაძლიოვო? თავი შეიკავა. ბიჯოოო, ან თავმოყვარეობა რა უყავ, ან კიდე ადამიანობაო? აბა, ერთი სცადე, ერთხელ მაინც გააკრიტიკე, მერე ნახავ, როგორ აჭიკჭიკდებიანო.

იმავე კვირაში „მოვთხარე“ ჩემი რაიონი, ყველა ჩნოვნიკს გადავუარე, ვისზე გადავლაც არ დამეზარა.

ბიჯოოო... გადაშალეს გაზეთი სიღნაღის რაიკომში, დაუსკდათ გულები, ეხ ხო ჩვენი გაზრდილია, ეგრე რათა ქნაო? დამირეკეს, პირველ მდივანს უნდა შენთან ლაპარაკიო – შვილო, ჩვენ არ გაგზარდეთო? სკოლა აქ არ დაამთავრეო? ჰო, ეგრე იყო-მეთქი. მერე, რა გინდა, რითა ხარ უკმაყოფილოო? მეც ავდექი და რაც მამაჩემმა მითხრა, კახურად მივაყარე – პატივცემულო, ტაქსებითა და ჯორებით ვეღარ დავდივარ, დავიღალე, თურმე სხვებს ხელისგულით დაასეირნებთ, მე კიდე ფეხის გულებზე მაზოლები გამამივიდა-მეთქი. იმ დღის მერე, ყოველ ჩასვლაზე რაიკომის წინ შავი „გაზ-24“ მელოდებოდა თავის მორჩილი შოფრით.

იმჟამინდელ ჟურნალისტიკაში კი იყო ერთგვარი ცუღლუტობები, მაგრამ არ იყო ამგვარი გრანდიოზული მაიმუნობები. ამ ელიტარულ პროფესიაში ხდებოდა ის, რაც ხდებოდა სხვა ნებისმიერ დარგსა თუ პროფესიაში – ყველა ჩალიჩობდა თავისებურად. მახსოვს, შიდა ქართლის ერთ-ერთ სოფელში მევენახე ქალბატონი დაჩაგრეს. დამირეკა, ჩავედი, მართალი იყო, კოლმეურნეობის თავკაცები გავაშავე. ჩამოვედი თბილისში, მეორე დღეს დილის 7 საათზე იმავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე მირეკავს, ტელევიზიასთან ვდგავარ, გელოდებით, როდის მობრძანდებითო? 9 საათზე-მეთქი. თუმცა ველარ მოვითმინე, ვიფიქრე, ემანდ რამე საცირკო სანახაობა არ ჩაატაროს სამსახურთან, თანამშრომლებმა ცუდი არაფერი იფიქრონ-მეთქი და წავედი. დგას თავმჯდომარე ეზოში თავისი „06“-ით მძღოლთან, ბოლთასა სცემს. აი, ძმაო... ახადა „კაპოტი“ „ბაგაჟნიკს“, ერთი ტომარა ლობიოა, სუ ჩემი ხელით გარჩეული, ქვემოთ ქათმები ჩავდე, გოჭი, რამე და რუმე, ყველაფერი აქ არი, მარტო სახლის მისამართი მითხარი, ეხლავე მივიტანო. გავგიჟდი. საღამომდე ვიმალებოდი სამსახურში, გამოვიხედავდი, იქ იდგა, დავიმალებოდი, გამოვიხედავდი, იქ იდგა... კარგად რომ შეღამდა, დაკეტა „ბაგაჟნიკი“ და წავიდა.

როდიდან დაიწყო ქართული ჟურნალისტიკის სერიოზული გახრწნა? ჩემი აზრით, მაშინ, როცა ტელევიზიისა და პრესის წარმომადგენლებმა ბრძოლა გამოუცხადეს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას. აი, მაშინ გამოჩნდა ქართული ჟურნალისტიკის აყროლებული თავი... მაშინ გამოჩნდნენ ელიტარული მოკალმეები... მაშინ გამოჩნდნენ ედუარდ შევარდნაძის გოშიები და რაც მთავარია, მეხუთე კოლონის (რუსეთის) მსახურები. ესეც დიდი და მნიშვნელოვანი თემაა, ჩემი აზრით, ის ე.წ. ჟურნალისტები, რომლებმაც სახელმწიფო გადატრიალება მოაწყეს, ამათი წინაპრები არიან და თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგიერთი ისევ „ბრწყინავს“ ბიძინა ივანიშვილის დამხობის იდეით შეპყრობილი. დამხობა და გაპარტახება ამათი სპორტია, გატაცებაა, ჰობია, ხეირია, სულიერი კმაყოფილებაა. არადა... ის დრო დასრულდა, წავიდა, გაცვდა, დალპა, მორჩა, რევოლუციები აღარ იქნება. თუ რა ხდებოდა, რა უკადრებელს კადრულობდნენ ჩემი „კოლეგები“ იმ დღეებში, როცა გამსახურდიას გაგდების გეგმა მუშავდებოდა, ამაზე ცალკე უნდა მოგითხროთ, შემდეგ კი ნელ-ნელა წამოვალთ აქეთ, რათა გავარკვიოთ, როგორ, რანაირად გაჩნდნენ ჩვენს გვერდით ე.წ. ჟურნალისტები – კილაძეები, მელაძეები, გრიგოლიები, გვარამიები, კვესიტაძეები და სხვები.

ამჯერად ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ედიშერ გვენეტაძის შეფასებით დავასრულებ, რომელსაც ასი პროცენტით ვეთანხმები:

„ისე, მაგარი სპორტია ჩვენში ზოგიერთისთვის ჟურნალისტიკა! ტელევიზიით გამოდი და ამოსვარე ადამიანის ღირსება ლაფში, აგინე, ლანძღე, დააბრალე, გაათხრევინე გვირაბი წყნარი ოკეანის ქვეშ და ბოლოს დააყოლე, წყარომ მომაწოდაო! მოვლენ სამართალდამცველები და როდესაც გთხოვენ გამოძიების პროცესისათვის მასალების მიწოდებას, იყვირე, იბღავლე, იხავლე, ტლინკები ყარე! რას მიქვიან დახმარება და თანამშრომლობა, ეს ხომ თავისუფალ სიტყვაზე ზეწოლაა?!ჰოდა, ასეთია ჩვენში „უკომპრომისო“, მატყუარა და ცილისმწამებლური ნოდარ მელაძისეული საგამოძიებო ჟურნალისტიკა“!

●

1991–1992 წლებში ნათლად გამოჩნდა, როგორი გამომპალი იყო ქართული ჟურნალისტიკა და არა მხოლოდ ქართული ჟურნალისტიკა. ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას მოსვლისთანავე დაიწყო გადაჯგუფება-გადმოჯგუფება და უმალვე გაჩნდნენ იმისტები და ამისტები. მახსოვს, ბატონმა ზვიადმა პირველი რაც

გააკეთა, ედუარდ შევარდნაძეს შეუთვალა, ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს, ნუ დავანგრევთ, ერთად მივხედოთ, თუ არ დაგვეხმარებით, ხელს მაინც ნუ შეგვიშლითო. შევარდნაძემ, მე ერთი პენსიონერი კაცი ვარ, თავი დამანებეთო. სამწუხაროდ, თვითონ არ დაგვანება თავი... რამდენიმე თვეში კი თავბედიც გვაწყევლინა.

რასაც ახლა ვიტყვი, ადრეც დავწერე, მაგრამ ცოტა ვიწროდ. ესე იგი, ქართული ჟურნალისტიკის გახრწნილობა ყველაზე მეტად გამოჩნდა იმ პერიოდში, როცა ტელე-რადიო კომიტეტში ედუარდ შევარდნაძის მომხრე „ელიტარული“ თანამშრომლები აჯანყდნენ და ბოლოს თენგიზ კიტოვანის მხარდასაჭერად კიბეზე ჩამოსხდნენ. აჯანყების პირველ მიზეზად თავმჯდომარის თანამდებობაზე პროფესიით რეჟისორის, ჟურნალისტიკაში გამოუცდელი ადამიანის, თემურ კვანტალიანის დანიშვნა გახდა. ფაქტობრივად, კვანტალიანი იმისთვის მოიყვანეს, რომ ეს სტრატეგიული ობიექტი კაგებეს აგენტებისგან გაეწმინდათ, მაგრამ აგენტებმა იგრძნეს რა საშიშროება, ეგრევე დაიწყეს ხელისუფლების დამხობაზე ფიქრი და საუბარი. „კაკრაზ“, დრო იყო, აქ სამი-ოთხი ჯოგის ინტერესები დაემთხვა ერთმანეთს – ედუარდ შევარდნაძისა და მისი კლანის, კომუნიზმის ეპოქაში გამაძღარი საზოგადოების, კომუნისტური ნომენკლატურისა და ე.წ. ელიტარულ-კულტურული გოიმების. ქართული ჟურნალისტიკის კლასტერი, რომელმაც ომი გამოუცხადა ეროვნულ ხელისუფლებას, შედიოდა ელიტარულ-კულტურულ საგოიმეთში. თქვენ წარმოიდგინეთ, ხელწერა იგივე იყო, როგორიც ამჟამადაა – თუ დღეს ე.წ. ოპოზიციას პროდასავლურობა და ევროპიელობა აკერია პირზე, მაშინ ჩვენი ქვეყნის ნათელ მომავლად ითვლებოდნენ ედუარდ შევარდნაძე და მისი მეგობრები – ძირითადად ჰელმუტ კოლი (გერმანიის კანცლერი 1982–1998 წლებში), დიტრიხ გენშერი (გერმანიის ვიცე-კანცლერი 1974–1992 წლებში) და რასაკვირველია, მამა ბუში, აშშ-ის პრეზიდენტი. ეს იყო უბრალოდ შირმა, თორემ ამათ, ამ ახლადგამოჩეკილ პროდასავლელებს თვალი მაინც რუსეთისკენ ეჭირათ. პროპაგანდა გახლდათ ასეთი: ჩამოვიყვანთ დიდ პოლიტიკოსს, ედუარდ შევარდნაძეს, რომელსაც არნახული გავლენა აქვს როგორც ევროპაში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ის დაელაპარაკება მეგობრებს – გენშერს, კოლს, მუშს, რომლებიც მოგვცემენ ბევრ ფულს, ხორბალს, ხორცს და ჰეეე, აგვიწყობენ ცხოვრებას საათივით. ვინ არის ზვიად გამსახურდია? არავინ, მას არ ჰყავს მეგობრები, არ ცნობენ როგორც პოლიტიკოსს. ბოლოს და ბოლოს, ის არის პროვინციელი ფაშისტი, სუნიანებისა და გოიმების უფროსი. მახსოვს, რა ამბავი ატყდა, როცა ნოდარა მელაძის „წინაპრებმა“ ტელევიზორში ზვიად გამსახურდიას ის „მერსედესი“ უჩვენეს, რომელიც ოფიციალურად ემსახურებოდა. გაიგონეთ? პრეზიდენტს ისეთი „მერსედესი“ ემსახურებოდა, რომლის მსგავსითაც დღეს აღარავინ დადის, აღარ კადრულობენ. სხვათა შორის, არც მაშინ იყო დიდი პირდასაღები და გასაოცარი მანქანა, როდესაც პრეზიდენტი გააძევეს, ვიღაც სომეხმა დალაქმა იყიდა თავისი შვილისთვის.

გახრწნილი ჟურნალისტიკის სათავეში მოექცა ვალერი კვარაცხელია, ის ყველაზე კარგად ასრულებდა ედუარდ შევარდნაძის დავალებებს, კვირაში ერთხელ ჩადიოდა მოსკოვში და ინტერვიუებს

ამზადებდა ერთ მოხუც პენსიონერთან. ვალერი კვარაცხელიას მხარში ედგნენ ნანა ჯაფარიძე და მამუკა არეშიძე. მამუკამ მოგვიანებით თავისი საქციელი მოინანია და ამას ვაფასებ, მსგავსი რამ არავის გაუკეთებია.

მოკლედ, 1991 წლის შემოდგომაზე საქართველოს ტელევიზია ხელში ავანტიურისტებმა ჩაიგდეს. ჟურნალისტები, რომლებიც მხარს ზვიად გამსახურდიას უჭერდნენ, პარლამენტის შენობაში, ე.წ. ბუნკერში გადაბარგდნენ, იქიდან მიჰყავდათ რადიოგადაცემები, სატელევიზიო სიგნალის ხელში ჩაგდება ვერ მოახერხეს, ის კვლავ რჩებოდა აჯანყებულთა ხელში – ჩვენი „სასიქადულო“ დიქტორები მოსახლეობას აწვდიდნენ ცნობებს, თუ როგორ არ თმობდა დემონი გამსახურდია ძალაუფლებას და როგორ ჭამდა ის ყოველღამ თითო ბავშვს.ე.წ. ბუნკერში ამუშავებულ მაუწყებლობას განაგებდნენ თამაზ ჭყონია (ეს ადამიანი აღარავის ახსოვს), მზია ბაქრაძე და ლადო კოკაია. სხვებიც მუშაობდნენ, მაგრამ ვეღარ ვიხსენებ. მაშინ შევუთვალე, მეც წამიყვანეთ, მანდ მამუშავეთ-მეთქი, მაგრამ უარი შემომითვალეს, აქ ერთი მაგიდა და სკამი გვაქვს, ვერ ვეტევით, სადაც ხარ, მანდ იყავიო. კაი, ბატონო, ვიქნები-მეთქი... შეიძლება რაღაცას ვცდილობდით, შეიძლება რაღაცას ჩვენებურად ვაკავებდით, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა, მივიღეთ სრული კატასტროფა – გადამწვარი რუსთაველი და განადგურებული საქართველო.

ამას წინებზე, ჯულიეტა ვაშაყმაძე რომ გარდაიცვალა, ვიღაცებმა სოციალურ ქსელში დითირამბები მიუძღვნეს და თენგიზ ნათაძეც ახსენეს, კაი კაციო, ლეგენდაო. რა სასაცილოა, მაგრამ მაინც მეცინება... თენგიზ ნათაძე ჩემთვის ასოცირდება სიცივესთან, სიბნელესთან, ნგრევასთან და რაღაც ძალიან ცუდთან – ის გამოვიდა „ტელეგრეიკით“ 1992 წლის 6 იანვარს ტელევიზორში და გვაუწყა, რომ საქართველოში დიქტატურა დასრულდა.

აი, მეგობრებო, ეს გახლდათ ქართული ჟურნალისტიკის ლპობის

ბის პროცესის დასაწყისი... უფრო სწორად, ლპობის პროცესის სამზეოზე გამოტანა. შეუძლებელია, რომელიმე დარგი რამდენიმე თვეში გაიხრწნას, უბრალოდ ზოგი რამ არ ჩანს, შესაბამის პირობებში გამოჩნდება ხოლმე. მე ჟურნალისტიკასა და ამ დარგით მოსარგებლე ადამიანებზე ვსაუბრობ, თორემ იმ პერიოდში, როცა ძალაუფლება ტლუ კიტოვანმა და ავანტიურისტმა ჯაბამ ჩაიგდეს ხელში, საქართველო უცებ მობერდა და დაჩაჩანაკდა, უცებ ჩაბნელდა, გაუფერულდა. ბუნებრივია, ყველა პროფესიამ თითქოს თავისი დანიშნულებაც დაკარგა, მაგრამ ე.წ. ელიტა და ამ ელიტაში თავშეფარებული ჟურნალისტები მაინც ცდილობდნენ, მოვლენების ზედაპირზე დარჩენილიყვნენ.

კარგად დააკვირდით, იმჟამინდელი პროპაგანდა, ხელწერა, მეთოდები და მიმართულებები ძალიან ჰგავს დღევანდელს – ედუარდ შევარდნაძე, რომელიც თავისი შეგნებით, მრწამსით, წარსულით, ცხოვრებით კომუნისტი გახლდათ, უცებ მოინათლა ე.წ. ნათელ წერტილად, ევროპული ტიპის პოლიტიკოსად, ხოლო დისიდენტი ზვიად გამსახურდია კაგებეს აგენტად. გაიხსენეთ, 1991 წლის აგვისტოში რა დღეში იყვნენ ე.წ. ინტელიგენციის წარმომადგენლები თენგიზ სიგუას მეთაურობით, როცა სსრკ-ს ვიცე პრეზიდენტის, გენადი იანაევის მეთაურობით, გკჩპ-ს პუტჩი დაიწყო და მიხეილ გორბაჩოვი გაუჩინარდა. ტლუ კიტოვანმა ქოშები უკუღმა ყარა, რას ჰქვია, გამსახურდიამ გვარდია დაშალაო? დავუშვათ, დაშალა, ან სახელი შეუცვალა, მერე რა? კიტოვანი, რომელიც დღემდე რუსეთში ზის, ზვიადს პრორუსობაში ადანაშაულებდა. ასევე იქცეოდნენ გია ჭანტურია და მისი რევოლუციონერა ცოლი ირინა სარიშვილი. ესენი მოსკოვში დაწანწალებდნენ შევარდნაძესთან, ფული ჩამოჰქონდათ ჩემოდნებით და ამავე დროს დისიდენტ კაცს ეძახდნენ, კრემლიდან იმართებიო.

31 მარტი ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა. აგერ იყო, წინა კვირის ოთხშაბათს, როცა ამ წერილს ვწერდი. ბევრმა ისეთმა დაიბრალა ზვიადისტობა, ეროვნული მოძრაობის წევრობა, ლამის დისიდენტობა, ვზივარ და ღიმილი ვეღარ მომიშორებია სახიდან. ოჯახში ეჭვით მათვალიერებენ, ეგრე უმიზეზოდ რათ იღიმი, ხომ კარგადა ხარო. ოჯახის წევრებს ავუხსნიდი, მაგრამ მეზარება, ეხლა თავიდან უნდა დავიწყო, ვინ რა გააკეთა, ვინ რა იმაიმუნა, ვინ როგორ ჩაისვარა, ვინ ვის ესროლა, ვინ სად გაიყიდა. თან ვიცი, მეტყვიან, წარსულს თავი დაანებე, ვეღარაფერს შეცვლი, მომავალზე იფიქრეო. მე კიდე ვპასუხობ, მომავალზე რომ ვიფიქრო, ჯერ წარსული უნდა გავიხსენო-მეთქი.

ხუმრობა იქით იყოს, მართლა ისეთებმა წამოყვეს თავები, გავოგნდი, ბოლო-ბოლო, სინდისიც ხომ კარგი საქონელია? არა, ამ ქვეყანაში ბევრისთვის სინდისი საერთოდ არ არის საჭირო, მაგრამ ჩვენ, მაშინდელ თაობას ხომ ძალიან კარგად გვახსოვს ყველაფერი?

ცხოვრება წინ წავიდა, განვითარდა, ტექნოლოგიები დაიხვეწა, რუსული აგენტურის ხელწერა კი იგივე დარჩა. როგორც ჩანს, „კაკებეშნიკური“ მეთოდოლოგია არასოდეს შეიცვლება. გავიხსენოთ, ამასწინანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში, რუსეთის პირდაპირი და აღიარებული ქვეშემრდომი გრიგოლი ლამის პირველი კაცი რომ გახდა, „ნაციონალებმა“ პიარ-მენეჯერებად რუსები დაიქირავეს. ხომ არაფერს ვიგონებ, ხომ საკუთარი თვალით ნახეთ, რა დღეში იყვნენ ვიტალი შკლიაროვი, მაქსიმ კაცი, ირინა პრავნიჩენკო, ვერონიკა ბურენკოვა, ანა კუზნეცოვა, ვიქტორ სემენოვი, ევგენი რეშეტნევი? ამათი პიარული მანქანა მხოლოდ ერთი მიმართულებით მუშაობს: დააბრალე სხვას ის, რასაც წარმოადგენ თავად. აბრალებდნენ კიდევაც სალომე ზურაბიშვილს რუსეთის აგენტობას. დგეხარ ადამიანი, თავი ნორმალურად მოაზროვნე გგონია და ფიქრობ – ეს როგორ, რანაირად, როცა რუსი „პიარშიკები“ იქით არიან, იმათ ეხმარებიან, აგენტები აქეთ რანაირად უნდა იყვნენ? სალომე ზურაბიშვილი აგენტი რანაირად გამოდის? არა, არ გამოდის, არც არის, მაგრამ ტვინში მაინც გიტენიან, რომ ასეა, მათ ასე სჭირდებათ, მორჩა და გათავდა.

ქართულ ჟურნალისტიკაში სიმართლის მარცვალი მაშინ დაიკარგა, როცა ზვიად გამსახურდია რუსეთის აგენტად მონათლეს. ყველამ იცოდა, რომ ის არ იყო აგენტი, მაგრამ გარკვეულ (ტლუ) მასებში ამას იჯერებდნენ. დიახ, იჯერებდნენ იმიტომ, რომ ბევრი ტლუ იყო, მაგრამ იჯერებდნენ შიშის, სარგებლისა და სხვა ინტერესების გამოც. ახლაც ასეა, ტრადიცია გრძელდება, ქართული ჟურნალისტიკა, უფრო მეტად ტელეჟურნალისტიკა მყრალ ჭაობში ტრიალებს.

მე ამ თემაზე ძალიან ბევრი მაქვს სალაპარაკო და საწერი. გადაბმულად ვერა, მაგრამ პერიოდულად მოგახსენებთ, რა დაავადება შეჰყრია საქართველოში სწავლა-განათლებას და ამა თუ იმ ხელობის მცოდნეობას. რა ვიცი... ხან მგონია, რომ 21-საუკუნის მირველ ოცწლეულში, როცა კაცობრიობა მარსზე გადასახლებას აპირებს, ჩვენში კვლავაც საჭიროა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბება. ზუსტად ისევე, როგორც ეს თავის დროზე ჰქმნა ილია ჭავჭავაძემ. დამიჯერეთ, უმეცრება, სიბნელე და უწიგნურობა არის ყველა უბედურების საფუძველი. თუ ადრე ქართულ ჟურნალისტიკაში ავანტიურა სჭარბობდა, თუ განათლება, ასე თუ ისე, იყო, ახლა იქ სრული სიბნელე და უმეცრებაა.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ტერორი საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ

სამოქალაქო აქტივისტები არიან თუ ტერორისტული დაჯგუფების წევრები, რომლებიც საკუთარ ქვეყანას ტერორისტულ აქტებს უწყობენ?

ოთხშაბათს, 31 მარტს, კიდევ ერთი სამარცხვინო ფაქტი მოხდა საქართველოში — ვლადიმირ პოზნერზე და მის თანხმდლებ პირებზე ე.წ. სამოქალაქო აქტივისტებმა ნამდვილი საბრძოლო იერიში მიიტანეს და რომ არა პოლიციის მედგარი წინააღმდეგობა, შეიძლება, საქმე დიდი ტრაგედიით დამთავრებულიყო.

შეტევის მთავარი იდეოლოგი და ორგანიზატორი ამჯერადაც ე.წ. გავრილოვის ღამის მთავარი იდეოლოგი და ორგანიზატორი ელენე ხოშტარია ბრძანდებოდა, რომელმაც, როგორც ჩანს, წინასწარ „დაგრუზა“ და პატრიოტული მუხტით დამუხტა აქციის მონაწილეები.

აქტივისტები იმ რესტორანს

მიადგნენ, სადაც ჩამოსული სტუმრები ვახშმობდნენ და საპროტესტო აქცია დაიწყო.

აქციის მონაწილეებისთვის რომ გეკითხათ, ეს იყო მშვიდობიანი საპროტესტო აქცია პატრიოტულად განწყობილი მოქალაქეებისა, რომლებიც არ დაუშვებენ ოკუპანტების თარეშს საქართველოში და ყველას, ვინც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არ აღიარებს, საკადრის პასუხს მოთხოვენ.

მშვიდობიანი პროტესტიო, კი ამბობდნენ, მაგრამ რაც 31 მარტს სასტუმრო „ვინოტელთან“ მოხდა, იმას არაფერი ჰქონდა საერთო არც მშვიდობასთან, არც პროტესტის გამოხატვის ცივილურ ფორმებთან.

არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ეს იყო უკიდურესად ეგზალტირებული, აზროვნების უნარდაკარგული, საშიში და სახიფათო ბრბო, რომელიც მზად იყო, ლინჩის წესით გაესამართლებინა პოზნერი და ის პირები, რომელთა ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ პოზნერს ახლდნენ.

აქციის მონაწილეებმა რამდენჯერმე მიიტანეს შტურმი შენობაზე.

მუქარა, გინება, ყვირილი, უკიდურესად შეურაცხმყოფელი სიტყვები, უკიდურესი აგრესია, კვერცხების სროლა, ქვების სროლა, ცხადია, ხულიგნობას უფრო ჰგავდა, ვიდრე საპროტესტო აქციას, თუმცა დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევდა, რომ ესენი არ იყვნენ ჩვეულებრივი ხულიგნები.

მოკლედ რომ ვთქვათ, რაც 31 მარტს სასტუმრო „ვინოტელთან“ ხდებოდა, ზუსტად, ერთი-ერთში იმეორებდა იმას, რაც 2019 წლის 20 ივნისს პარლამენტის შენობასთან მოხდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ორივე ეს აქცია ერთი და იგივე ძალების მიერ იყო მომზადებული და ორგანიზებული.

ნიშანდობლივია ისიც, რომ აქციის მონაწილეები, აქაც და იქაც, ფაქტობრივად, ერთი და იგივე ადამიანები იყვნენ, უცვლელი ხელმძღვანელით — ელენე ხოშტარიათი და „ნაცმოძრაობის“



ლიდერშიფით.

იმის თქმა გვინდა, რომ სიცრუე იყო აქციის მონაწილეთა განცხადება, თითქოს პატრიოტული გრძნობებით გულანთებული მოქალაქეები სპონტანურად შეიკრიბნენ პროტესტის გამოსახატავად და თავიანთი მოქალაქეობრივი პოზიციის დასაფიქსირებლად.

ეს იყო წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია, რომელსაც, როგორც ვთქვით, შეიძლებოდა უმძიმესი შედეგები მოჰყოლოდა ქართული სახელმწიფოსთვის.

საქართველო შეიძლებოდა ისეთ საერთაშორისო სკანდალში გახვეულიყო, რომელიც მას ძალიან ძვირი დაუჯდებოდა პოლიტიკურად, ეკონომიკურად, მორალურად.

— ამ რუს ღორებს, რომლებიც აქ საჭმელს თქვლეფენ, აქედან უნდა ავახვევინოთ! — გაჰყვიროდნენ აქციის უკიდურესად აგრესიული მონაწილენი და შტურმით ცდილობდნენ პოლიციის კორდონის გადაჯევას, რომ რესტორნის შიგნით შეეღწიათ და იქ მყოფი სტუმრებისთვის პირადად მოეთხოვათ პასუხი.

ახლა ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ამ გავეშებულ ბრბოს მოეხერხებინა და მართლა შევარდნილიყო რესტორანში, რა შეიძლებოდა იქ მომხდარიყო?

რა შეიძლებოდა მომხდარიყო და მომხდურებსა და ტურისტების ჯგუფს შორის აუცილებლად მოხდებოდა ფიზიკური დაპირისპირება, რომელიც, არავინ იცის, რა უბედურებით დამთავრდებოდა.

ვინ იძლევა იმის გარანტიას, რომ ვლადიმირ პოზნერს, 87 წლის კაცს, ან ჯგუფის რომელიმე სხვა წევრს, ამ ინციდენტის შემდეგ, არავის არაფერი დაემართებოდა?

მართალია, „შტურმავიკები“ სტუმრებს რუს ღორებს კი ეძახდნენ და აქ, ავლაბარში, რუსი ოკუპანტებისგან „იცავდნენ“ აფხაზეთს, თუმცა, სინამდვილეში, ტურისტების საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფში მხოლოდ რამდენიმე ადამიანი იყო რუსი, დანარჩენები ებრაელები და საფრანგეთის მოქალაქეები იყვნენ.

ვლადიმირ პოზნერი „რუსი“ არ არის, ებრაელია და, ამასთან ერთად, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეა და რამე რომ მომხდარიყო, რუსეთის კი არა, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ის წინაშე მოგვიწევდა თავის მართლება.

ასე რომ, ავლაბრის „სამხედრო პოლიგონზე“ რუს ოკუპანტებს კი არა, ებრაელებს და სხვადასხვა სახელმწიფოების მოქალაქეებს „ებრძოდნენ“ „პატრიოტი“ აქტივისტები „მთავარსარდალ“ ელიჩკა ხოშტარიას მეთაურობით.

აქტივისტების სამხედრო ოპერაციას მყისვე მოჰყვა სათანადო რეაგირება კრემლიდან: ვაფრთხილებთ რუსებს, საქართველო რუსებისთვის სახიფათო და საშიში ადგილია!

ეს გაფრთხილება კი იმას ნიშნავს, რომ ისედაც მინიმუმამდე დასული რაოდენობა რუსი ტურისტებისა კიდევ უფრო შემცირდება.

ელიჩკა და პუტინის ადმინისტრაცია ისე შეთანხმებულად და შეხმატკბილებულად მოქმედებენ, გაგიკვირდება კაცს.

პოზნერს მდიდარი ბიზნესმენების მთელი ამალა მოჰყვებოდა თან.

მას შემდეგ, რაც მათ 31 მარტს გადახდათ თავს, არც მათი და არც მათი ახლობელ-მეგობრების ფეხი საქართველოში არ იქნება.

ასეთი „სიკეთე“ გაუკეთეს საქართველოს საქართველოსთვის მებრძოლმა „პატრიოტებმა“.

მაინც, რა ამოძრავებთ და რა სურთ ამ ე.წ. სამოქალაქო აქტივისტებს?

მერწმუნეთ, მათ საქართველოც ფეხებზე ჰკიდიათ და აფხაზეთიც, გავრილოვიც და პოზნერიც, ოკუპაციაც და ბორდერიზაციაც — მათ ერთადერთი გეგმა აქვთ — რაც შეიძლება მეტად დააზარალონ და დააზიანონ საქართველო, მათი მიზანია, შეილახოს ქვეყნის იმიჯი, საბოლოოდ ჩამოიშალოს ეკონომიკა, საქართველო იქცეს არასტაბილურ, სახიფათო და საშიშ ქვეყნად ტურისტებისთვის, ინვესტორებისთვის, გაიზარდოს დაძაბულობა, დაპირისპირება, აგრესია მოქალაქეებს შორის, შეირყეს სახელმწიფო სტრუქტურების ავტორიტეტი და ასე თანდათან მომზადდეს ხელსაყრელი ფონი ქაოსისთვის, არეულობისთვის, რევოლუციისთვის.

ეს „ნაციონალური მოძრაობის“ სცენარია, ხოლო ეს ე.წ. სამოქალაქო აქტივისტები მისი გასამხედროებული დანაყოფი, ფაქტობრივად, ტერორისტული დაჯგუფება, რომელიც პატრიოტული ლოზუნგებით ეწევა სპეცულაციას, სინამდვილეში კი საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძვის.

დროზე გაანეიტრალეთ ეს ტერორისტული დაჯგუფება და მისი პოლიტხელები — დიდი ალბათობით, ფსბ-ს ქართველი თანამშრომლები, სანამ დიდ ავანტურაში არ შეათრევენ ქვეყანას.

31 მარტის ამბებთან დაკავშირებით საინტერესო კომენტარი გამოაქვეყნა ირაკლი კობახიძემ, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

„გუშინ და დღეს ნაციონალები ამტკიცებდნენ, რომ ქართული წესი — „დღეს სტუმარია ეგ ჩემი“ ვრცელდება მხოლოდ მოყვარეზე და არა მტერზე. შეგახსენებთ, რომ ვაჟას ეს ანდერძი გრძელდება სიტყვებით — „თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“, ანუ წესის ობიექტი სწორედ რომ მტერია, თორემ მოყვარეს კაცი რომ მოყვრულად ხვდება, ამას გულზე მჯიღის ცემა საერთოდ არ სჭირდება. აქ პრობლემა უფრო მეტად მენტალიტეტშია, ვიდრე არცოდნაში. ნაციონალი ვერ იტანს ვაჟას, ისევე, როგორც ყველაფერ წმინდას, რაც ჩვენს ტრადიციებსა და ღირსებას უკავშირდება. დარწმუნებული ვარ, ადამიანი, რომელსაც ვაჟა წაკითხული და გაგებული აქვს, ნაციონალი ვერასდროს გახდება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ნაციონალი, თავისი არსით, არის ანტი-ვაჟა.

ამ დასკვნას ამყარებს ელენე ხოშტარიას კიდევ ერთი გუშინდელი გამონათქვამი — ინფორმაცია პოზნერის გეგმების შესახებ მისი მასპინძლისგან მქონდაო. ეს მართლა რუსეთის საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტი და უმაღლესი ალბათობით, ფსბ-ს აგენტი ყველას გასაგონად ამბობს, რომ ქართველი სტუმრის დამბეზღებელია, ანუ ქართველს აბრალებს იმას, რაც არის თავად ნაციონალი — ანტი-ვაჟა. ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც ხელში უჭირავთ რუსული ასანთი და ქვეყანას მუდმივად პრობლემებით ემუქრებიან. მათი გუშინდელი ფსევდოპატრიოტული ფსევდოპროტესტიც ამის კიდევ ერთი ნათელი დასტური იყო“.

ეჰ, ბატონო ირაკლი, თქვენც იტყვით რა — რა ვაჟა, რისი ვაჟა, ესენი ბურჭულაძის და დეისაძის „შემოქმედებაზე“ არიან გაზრდილები და ისე, როგორც საკუთარ სამშობლოსთან ომში არიან გულადები, ორგაზმსაც დედასთან, ანუ საკუთარ სამშობლოსთან ბღლარძუნში განიცდიან.

მიმომხილველი

ეროვნულმა ბანკმა თავისი პოლიტიკა უნდა შეცვალოს და მცურავი კურსის ნაცვლად ლარი მართვადი უნდა გახადოს

გვესაუბრება საბანკო საქმის სპეციალისტი, პროფესორი ლია ელიავა:

— ქალბატონო ლია, ეკონომიკა სულს ღაფავს. როგორ გამოვიყვანოთ ქვეყანა კრიზისიდან?

— ამჟამინდელი მდგომარეობით, ხელოვნურად გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი, საზოგადოებრივი ცხოვრების, ფაქტობრივად, ყველა სფეროზე, საკმაოდ მძიმე გავლენას ახდენს. უმძიმეს მდგომარეობაშია არამარტო ეკონომიკა, არამედ მისგან გამომდინარე სოციალური, კულტურული და ა.შ. სფეროები. ანუ, კრიზისი ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს მოედო. რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის თავი და თავი ეკონომიკა გახლავთ. ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობა დამახასიათებელია არამარტო საქართველოსთვის, არამედ სხვა განვითარებული ქვეყნებისთვის, რომლებმაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაცია გაიზიარეს და თავისი ეკონომიკები კრიზისში ჩააგდეს. რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკას, იგი ისედაც სუსტი იყო და მისი ხელოვნურად გაჩერება ეკონომიკისთვის კატასტროფული შედეგების მატარებელი გახდა. დღევანდელი მდგომარეობით ეკონომიკის ვარდნა, ოფიციალური სტატისტიკით, საკმაოდ მაღალია. დიახ, ოფიციალური სტატისტიკით, ინდექსის მაჩვენებელი 7%-ს შეადგენს, სინამდვილეში კი, ფასების დონე იზრდება არა ერთნიშნა, არამედ ორნიშნა ციფრით. ზოგი სახის სამომხმარებლო საქონელზე ფასები ორმაგდება კიდეც ანუ, 100%-იანი ნიშნულით იზრდება. ასე, რომ სიტუაცია საკმაოდ მძიმეა. მოსახლეობა საკუთარი ხარჯების ანაზღაურებას ვერ ერევა, ვინაიდან ფასები იზრდება, შემოსავლები კი — არა. მძიმე მდგომარეობაა ბიზნესშიც, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესში. მოსახლეობა ვისაც ფული არ აქვს, მას ვერც ხარჯავს, ხოლო ვისაც აქვს ცდილობს არ დახარჯოს და სახსრები მომავალი, გაუარესებული მდგომარეობისთვის შემოინახოს. ფაქტობრივად, ქვეყანაში მოთხოვნა ძალიან შემცირებულია, რაც ეტყობა კიდეც იმპორტს. სახეზეა ადგილობრივი წარმოების ვარდნაც, რაც ასევე საყურადღებოა. მოკლედ, სიტუაცია მძიმე და კრიტიკულია.

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— რეალურად, ყველაზე მთავარი რაც გვჭირდება, ეს არის ფული. ეკონომიკას ასამუშავებლად ფული სჭირდება. შიდა რესურსები და ასეთი ფული ქვეყანას არ გააჩნია. მე, ვსაუბრობ უცხოურ დახმარებაზე. შარშან, მთავრობამ დიდი სესხი აიღო. ეს ფული ეკონომიკაში შევიდა და გარკვეულ წრებრუნვაში ბიზნესმაც იხეირა და მოსახლეობამაც. საქართველოს ეკონომიკას, დღესაც, ასეთი დახმარება სჭირდება. ანუ, ქვეყანაში, ფაქტობრივად, ფული ძალიან ცოტა ოდენობით ტრიალებს, რაც ბიზნესის ფუნქციონირებას ხელს უშლის. შესაბამისად, აუცილებელია გარედან დახმარება, რათა ქვეყნის ეკონომიკამ იმუშაოს. გამოსავლის კიდევ ერთი ვარიანტი, ასეთია: მთავრობამ უარი უნდა თქვას რამდენიმე სამინისტროზე, რომლებიც ქვეყანაში, ფაქტობრივად, არაფრის მაქნისია. მათ შესანახად გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები შიდა ინვესტირებისათვის უნდა დახარჯოს. დიახ, თავად ქვეყანამ უნდა მოახდინოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გამოთავისუფლება და მათი საქართველოს ეკონომიკაში დაბანდება. კიდევ, ერთი ნაბიჯი რაც შეიძლება გადაიდგას, ეს გახლავთ, მთავრობის მხრიდან, შიდა ინვესტიციების წახალისება. ვინაიდან უცხოური ინვესტიციები აღარ შემოდის, მთავრობას შეუძლია ბიზ-

ნესმენებს, ვისაც ფული საზღვარგარეთ აქვთ გატანილი ან აქ, აქვთ, მაგრამ ამ ფულს არ ამუშავებენ, ხელსაყრელი პირობები შეუქმნას იმისთვის, რომ თანხები საქართველოს ეკონომიკაში დააბანდონ და მის განვითარებას ხელი შეუწყონ. ამ პროცესს ძალიან ძლიერი და მძლავრი სახელმწიფო გარანტიები სჭირდება იმისათვის, რომ ბიზნესმენებს არავინ წამოაძახოს საიდან აქვთ ეს ფული, აქამდე, სად ჰქონდათ და ა.შ. ეს ძალიან რთული პროცესია, მაგრამ თუ მთავრობა მოინდომებს, ამის ხელშეწყობა შესაძლებელია. გამოსავლის კიდევ ერთი გზა გახლავთ სწორი მონეტარული პოლიტიკის გატარება. „ეროვნულმა ბანკმა“ მცურავ სავალუტო კურსის რეჟიმზე ხელი უნდა აიღოს და იგი მართვადი გახადოს. ეს თუ არ გაკეთდა, საქართველოს ეკონომიკა კრიზისიდან ვერასდროს გამოვა. სავალუტო კურსი ქვეყნის ეკონომიკის განმსაზღვრელია, ვინაიდან იგი, ფაქტობრივად, მთლიანად იმპორტზეა ჩამოკიდებული. ფასების დონე განსაზღვრავს როგორც მოსახლეობის, ისე ბიზნესის კეთილდღეობას და ეკონომიკის გამართულ ფუნქციონირებას. ამიტომ, „ეროვნულმა ბანკმა“ თავისი პოლიტიკა უნდა შეცვალოს და ლარის კურსი მართვადი გახადოს, ხელი შეუწყოს მის სტაბილურობას. საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა როგორი იქნება კურსი: ერთი სამზე, ერთი ხუთზე თუ ერთი ათზე და ა.შ. მთავარია სტაბილურობა. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კურსი არ მერყეობდეს. აი, ეს უნდა უზრუნველყოს „საქართველოს ეროვნულმა ბანკმა“. ასევე, მან კაპიტალის გადინების აღსაკვეთად, გარკვეული ბარიერები უნდა შექმნას. ფულის გადინება დიდი პრობლემაა. კაპიტალი საკმაო რაოდენობით გადის. დღევანდელ პირობებში, როდესაც კაპიტალის შემოსვლა ძალიან შემცირებულია, ეს გავლენას ახდენს როგორც სავალუტო კურსზე, ისე ქვეყნის ეკონომიკის სიჯანსაღეზე. მთავარია ხელისუფლების მხრიდან მონდომება.

— თქვენ, უცხოური დახმარებები ახსენეთ. შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ევროპა სანქციებით გვემუქრება. გვეუბნებიან, რომ 75 მილიონიან დახმარებას ვერ მივიღებთ. ეს რა გავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკაზე?

— 75 მილიონი ევრო, ფაქტობრივად, პრობლემას ვერ წყვეტს. ეს გახლავთ მიზერული თანხა, რომელიც ქვეყანაში ჩაიკარგება

და მისი ეფექტი, ფაქტობრივად, ნულოვანი იქნება. ასე, რომ მე, ამ თანხაზე ძალიან დიდ იმედს არ დავამყარებდი და არც იმის შემეშინდებოდა თუ რას იმუქრება ევროპარლამენტი. ვიმეორებ, ეს არ ნიშნავს ევროსაბჭოს გადაწყვეტილებას. არანაკლებ, მილიარდნახევარი-ორი მილიარდის დახმარება იქნებოდა საქართველოს ეკონომიკისთვის ის თანხა, რომელიც მას სულს მოათქმევინებდა.

— მსოფლიოში არსებობს სხვადასხვა ეკონომიკური მოდელები, რაც წარმატებით მუშაობს. მაგალითად, ჩინური, სინგაპურის მოდელი და ა.შ.

— რაც შეეხება სინგაპურს, იგი ავტორიტარული ქვეყანაა. იქ, დემოკრატიის ნასახი არ არის. იმ შემთხვევაში თუ ჩვენი ქვეყანა აპირებს დემოკრატიის შენების გზაზე სიარული გააგრძელოს, მაშინ სინგაპურის გამოცდილება, საქართველოსთვის, მისაღები ვერ იქნება. ამიტომ, სინგაპურის მაგალითი გამორიცხულია. რაც შეეხება ჩინეთს, იგი თავისი ეკონომიკური წინაპირობებით საქართველოს არ ჰგავს. როგორ აიდგა

ჩინეთმა ფეხი? — იგი მიმზიდველი იყო უცხოელი ინვესტორებისთვის როგორც იაფი მუშახელის ბაზარი, რასაც საქართველოში არცერთი ქართველი არ დათანხმდებოდა. იაფი მუშახელი უცხოური კომპანიებისთვის ხელსაყრელი იყო. ჩინეთმა უცხოური ტექნოლოგიების ასლის გადაღება დაიწყო და ფაქტობრივად, მთელი მსოფლიო ბაზრები უხვად მოამარაგა, სწორედ, უცხოურ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით წარმოებული არაბრენდირებული საქონელით. ამან, თავისი ეფექტი გამოიღო. ქვეყანა საკმაოდ სწრაფად გამდიდრდა. იქ, კარგი მდგომარეობაა, ბევრად უკეთესი, ვიდრე საქართველოში. ანუ, მათ სიღატაკე დაძლიეს. სხვა ქვეყნის მაგალითი ძალიან კარგია თუ იგი გააზრებული და საქართველოზე მორგებულია. რომელიმე მოდელის მექანიკურად გადმოღება მიზანშეწონილი არ არის და არც ეფექტიანი იქნება, ვინაიდან საქართველოს მოსახლეობის მენტალიტეტი სხვა ქვეყნის მოსახლეობის მენტალიტეტისგან საკმაოდ განსხვავდება.

როგორ უნდა ვითარდებოდეს საქართველოს ეკონომიკა, რა ტრაექტორიით, ამის ცოდნა მნიშვნელოვანია. ანუ, ქვეყანას სჭირდება გონიერი, მცოდნე, პატრიოტი და მოსიყვარულე მთავრობა, რომელიც ქვეყნის მართვას და გადაწყვეტილებების მიღებას შეძლებს.

— ჩვენ, ხომ შეგვიძლია ქართული მოდელი შევქმნათ, სადაც კონკურენტული და არა მონოპოლიზირებული გარემო იქნება და სახელმწიფო მონაწილეობას მიიღებს ეკონომიკის განვითარებაში?

— ჩვენ, მეცნიერებმა, ეკონომისტებმა, ჟურნალისტებმა რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, საბოლოო გადაწყვეტილება, მაინც ხელისუფლებას ეკუთვნის. მასზეა დამოკიდებული რომელ იდეას მოიწონებს და განახორციელებს. სწორედ ეს — არჩევანის პრობლემა, მთავრობას, ყოველთვის უდგას. პირებს ვინც თანამდებობებზე ინიშნებიან, ჰგონიათ, რომ ეს თავიანთი საქმიანობით დაიმსახურეს და მათზე ჭკვიანი სახელმწიფოში მეორე არავინ დადის. აი, ჩვენს მმართველებს ეს სინდრომი რომ არ სჭირდეთ, მიხვდებოდნენ, რომ როცა რაღაც არ იცი, საკუთარ თავთან მართალი უნდა იყო, ეს აღიარო და შენზე ჭკვიან ადამიანს ჰკითხო, რათა დაგაკვალიანოს, თუ რა უნდა გააკეთო.

— ხშირად გვესმის: საბაზრო ეკონომიკა ყველაფერს თვითონ დაარეგულირებსო. ეს რამდენად მართებული მოსაზრებაა?

— ბაზრის ე.წ. უხილავი ხელი არ მუშაობს, არ მოქმედებს. ეს გახლავთ იდეალურ ეკონომიკაზე გათვლილი თეორიული მოდელები, რომლებიც პრაქტიკაში არ მუშაობენ. ყველა ქვეყანა, განსაკუთრებით, ცივილიზებული და მაღალგანვითარებული წარმატებას მხოლოდ მაშინ აღწევს, როცა ხელისუფლება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ერევა. ამაში ცუდი არაფერია. მაგალითად, ავიღოთ იაპონია, სადაც ეკონომიკის 60% სახელმწიფოს ხელშია. იგი, ფაქტობრივად, ნახევარზე მეტი ეკონომიკის მართვას ახორციელებს. ჩვენთან ხშირად გაიგონებთ: სახელმწიფოს ქონება, აუცილებლად, უნდა გასხვისდეს, ვინაიდან იგი არაეფექტიანად იმართება. ეს, პრინციპულად, არასწორი პოზიციაა. მთავრობას მონდომება აკლია იმისთვის, რომ სახელმწიფო ქონება ეფექტიანად მართოს. იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ეკონომიკის ობიექტები რენტაბელურები იქნებიან, ეს დამატებით სტიმულს მისცემს ბიზნესს, რათა უფრო სწრაფად და კონკურენტულად განვითარდეს. ისეთ სიტუაციაში რაც დღეს გვაქვს, საქართველოს ეკონომიკა, მართლაც, მაღალმონოპოლიზირებულია, ზოგ დარგებში კი, ოლიგოპოლიზირებულიც. ასეთ ვითარებაში, როცა კონკურენციის ნატამალიც კი არ არის, სიტუაციის გარდატეხას მე და თქვენ ვერ შევძლებთ. ეს ხელისუფლების პრეროგატივაა. მათ სურვილზე, უნარზე და შესაძლებლობაზეა დამოკიდებული, თუ რას მოიმოქმედებენ ეკონომიკის სწრაფი განვითარებისთვის.

თამარ შველიძე
555 23 28 24

რატომ ემხრობა რუსეთი ქართველ „ოპოზიციონერებს“?

უკვე წლებია ქვეყანა ოპოზიციის მიერ შექმნილ ექსტრემალურ ვითარებაში ცხოვრობს. იმ ფონზე, როცა მსოფლიოს თითქმის ყველა წერტილში ისეთი პოლიტიკური დაძაბულობაა, როგორიც არასდროს ყოფილა, ამას მიმატებული ეკონომიკური არასტაბილურობა და კორონა-ეპიდემია, საქართველოში მაცხოვრებლებმა არ ვიცით, ეს ე.წ. ოპოზიცია მეორე დღეს რა უკუღმართობას მოიფიქრებს და განახორციელებს.

ხალხისთვის ვიბრძვითო, ამბობენ, არადა, ეს ხალხი დაიღალა მუდმივი კონფრონტაციით, ანტაგონიზმით, ცინიზმით, ზიზღის რიტორიკით. დაიღალა და ფსიქოლოგიურად გამოშრა და გამოიფიტა.

არ ვიცი, რომელი და რა მიმართულების პოლიტტექნოლოგის ინსტრუქციებს მიჰყვებიან, მაგრამ ეს პერმანენტული დემაგოგიური სტრატეგია, რასაც ჯიუტად აწვება ოპოზიცია, აშკარად წამგებიანი რომ არის მათთვის, ეს ცხადია.

უამრავჯერ სცადეს ხალხის აყოლიება — სარალიძის საქმეზე, მერე მაჩალიკაშვილს დაუდგეს კარვები, შაქარაშვილის, ბაჩალიაშვილის, ხან ღამის კლუბის მოცეკვავეებს უჭერდნენ მხარს, ხან „გავრილოვის ღამეო“, ვერც ერთხელ ვერ მოახერხეს არეულობის სრული ესკალაცია. არადა, ეს ძალიან უნდოდათ.

მშვენივრად იციან, ხალხი არის ის ძალა, რომელმაც შეცვალა სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმი და რომ არა ხალხი, ოცნებაც კი შეუძლებელი იქნებოდა იმაზე, რომ მიშა და მისი ჯგრო ოდესმე ქართველი ხალხის კისრიდან ჩამოსვლას მოინდომებდა.

„დიდი“ ოპოზიციონერი, საქართველოს რომ მუდამ კრიჭაში უდგანან, იმ რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ზურაბიშვილი თავის ფეისბუკის გვერდზე ახლახან აღსარებასავით წერდა ოპოზიციის გეგმებსა და მისწრაფებებზე:

... — პოლარიზაციამ მიაღწია უკიდურეს ნიშნულს. ყოველგვარი დიალოგის და პოლიტიკური შეთანხმების რესურსი ამოწურულია. ახლა ან ხელისუფლებას მოტყდება რქები და ჩამოიშლება, ან გაფორმდება აშკარა და დაუფარავი ავტორიტარიზმი. უფრო რეალური მეორე ვარიანტია.

— საქართველოს იმიჯს მიადგა უდიდესი ზიანი, რაც არაა მხოლოდ იმიჯის ამბავი. ქვეყანა იღებს ძალიან სერიოზულ ფინანსურ დახმარებას დასავლეთიდან და ახლა უნდა ველოდოთ სანქციებს, რაც გამოიწვევს სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას და თითოეულ მოქალაქეს დაარტყამს...

— ერთადერთი ქვეყანა, ვინც ყველაფერ ამით იხეირებს, არის რუსეთი, რამდენადაც ევროპისგან და დასავლეთისგან დაშორება ავტომატურად იწვევს რუსულ პოლიტიკურ ორბიტასთან დაახლოებას და რუსული გავლენების ზრდას. შესაბამისად გაიზრდება ყველა ჯურის პრორუსის, ფაშისტის, ქსენოფობის და რეტროგრადის კუთრი წონა როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე.

მოკლედ, ყველაფერი არის ცუდად და იქნება კიდევ უარესად. სიტუციიდან გამოსავლის შანსი შეიძლება იყოს დასავლეთის გაძლიერებული ზეწოლა პირადად ბიძინა ივანიშვილზე. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ყველაფერი სწორედ მისი პირდაპირი და უშუალო ბრძანებით ხდება და ის არსად არ წასულა.

საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ამბავი ხელისუფლებისთვის არ დამთავრდება

კარგად. მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ მათთვისაც ძალიან ცუდად დამთავრდება, მაგრამ მანამდე საკმაოდ მძიმე დღეები გველის, შეიძლება მას შემდეგაც“.

დააკვირდით, როგორ ლაპარაკობს ზურაბიშვილი, თითქოს სხვა ქვეყანაზე და სხვაგან მიმდინარე მოვლენებზე ლაპარაკობდეს, ისე ჯიბრით და ნიშნისმოგებით არჩევს ოპოზიციის ქმედებების მომავალ „პერსპექტივას“ ქვეყნისთვის...

დააკვირდით, ვინ ითხოვს საქართველოს დასუსტებას, მერე ხელისუფლებაში მოსვლას და დაბრუნებას — რესპუბლიკელებთან ერთად ირაკლი ოქრუაშვილი, ნინო ბურჯანაძე, გია ბარამიძე, გიგა ბოკერია, შალვა ნათელაშვილი, გიგი უგულავა, თინა ბოკუჩავა, სალომე სამადაშვილი, ელენე ხოშტარია და მისთანები.

ამ ცხვრის ტყავში გახვეულებს აქვთ პრეტენზია, რომ, საქართველოს უნდა უშველონ — თურმე, არჩევნები გაყალბებულა და ვადამდელი უნდა დაინიშნოს.

რამდენადაც უნდა გაყალბებულიყო, ან რამდენჯერაც უნდა გაიმართოს არჩევნები, ეს ადამიანები ხელისუფლებაში რომ ვეღარ მოვლენ, ეს როგორც ორჯერ ორი არის ოთხი, ისეთი ჭეშმარიტებაა.

ამიტომაც ცდილობენ მოაწყონ არეულობა და შექმნან რევოლუცია. რა თქმა უნდა, საკუთარი კეთილდღეობისთვის, თორემ სამშობლოს სიყვარული ამდენ სიშლეგეს და მავნებლობას რომ არ აკეთებინებს ადამიანს, ეს ყველამ ვიცით და არავინ არ ჭამს მასეთ ქერს და თივას ახლა.

რევოლუცია და გადატრიალებაა ის ერთადერთი გზა, რითაც შეიძლება მოაჯდნენ კვლავ საკუთარი ქვეყნის ბიუჯეტის დაშრეტილ ძუძუს ეს შხამიანი წურბელები.

ამისთვის აწიოკებენ არა მხოლოდ ქვეყანას, არამედ დასავლეთს — ევროპას, ამერიკას და რუსეთსაც, რომლის ოკუპანტობის ძახილით შეაწუხეს მთელი მსოფლიო, მაგრამ ვოვამ რომ დაუძახოს ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე ვითომ ოპოზიციონერს მოსკოვში ჩამოდითო, დეიდა ნინოსავით ფრთაშესხმული გაქანდებიან და თავმდაბლურ კავკასიურ-ქართულ „პაკლონს“ გაუკეთებენ **Дядя Вова**-ს შიგ კრემლში, აწ და მარადის...

ევროპა-ამერიკა რომ აამტუტეს და პაპუა-ახალი გვინეის დონეზე რომ გვიყურებენ ევროპელები, ესაა უფრო გულსაკლავი. იქაც მობეზრდათ, ალბათ, ამათი უშნო და არაკაცური ტლინკაობა, დასმენები და ჩიაკაცობა.

აფსუს, ქართველები მსოფლიოში რომ იყვნენ სახელგანთქმული ვაჟკაცობით?!

მაგრამ, კარგი, სიზმრებსა და ზმანებებს თავი დავანებოთ — ახლა გიგას და გიგის პოლიტიკაა დღის წესრიგში...

მეზობელი შემხვდა გუშინ. თავდადებული მიშისტია. ნახეო, რა უქნეს პოზნერსო?

პოზნერს ვერაფერი უქნეს, მაგრამ საქართველოს კიდევ ერთხელ რომ „უქნეს“ ამ „აქტივისტებმა“, ფაქტია...

ასეთ ურა-პატრიოტიზმზე, გაცვეთილ, გაუბრალოებულ მაღალ მატერიებზე დგას დღეს ეს ე.წ. ოპოზიცია და ეროვნული თვითშეგნების გაუბრალოებასა და გაცამტვერებაში უდიდესი როლი და საშინელი ცოდვა რომ აწევს, სწორედ 21-ე საუკუნის დასაწყისის საქართველოს შავი ჭირი — სააკაშვილია და მისი თავცარიელი, მუცლის მონა და წამხედური გარემოცვა.

კიდევ კარგი, რომ ვლადიმირ პოზნერი და მისი თანმხლები პირები საქართველოდან მეორე დღესვე წავიდნენ, თორემ შეიძლებოდა ეს ყველაფერი დიდ დაპირისპირებაში გადაზრდილიყო და აქვე, ხელის ერთ გაწვდენაზე მდგარი რუსის ჯარი თბილისში შემოჭრილიყო „თავისიანების“ გადასარჩენად.

ამჯერად, გადავრჩით, თუ გადაგვარჩინეს, თუ როგორც არის, და დასაწყისში რომ ვთქვი, მსოფლიოში შექმნილი ვითარების კვალდაკვალ, როგორც ჩემი ისტორიის მასწავლებელი, ცხონებული კარლო მამალაძე იტყოდა ხოლმე: გველსა ხვრელით ამოიყვანს ჯოხი შეჩხიკინებულიო, კვლავ ასეთი „შეჩხიკინებული“ ჯოხი გამოვდივართ, ვაიოპოზიციონერების წყალობით, რუსეთის თვალში, ყურში და რა ვიცი, კიდევ სად...

რომელი ქვეყანა მართავს, არ ვიცი, მაგრამ მიშა რომაა რაც ხდება ამ სისაძაგლის ლოკომოტივი, ეს უეჭველი რამეა. თანაც პარადოქსი ისაა, მიხეილ სააკაშვილის, დასავლეთის და რუსეთის ინტერესები საქართველოში არასტაბილურობის შესახებ ერთმანეთს რომ შეიძლება ემთხვეოდეს. ამიტომ, მგონია, რუსეთსაც ხელს აძლევს აქ არსებული მუდმივი დაძაბულობა, რომ მისი, როგორც პოლიტიკური მოთამაშის ლეგიტიმური მიზნები კავკასიაში, როგორც **борьба за существование**, განახორციელოს...

ამიტომ შეიძლება ემხრობოდეს რუსეთი, გარკვეულწილად, ამ დესტრუქციის „ბუკეტებს“ — ოპოზიციონერებს და წარმოიდგინეთ, რა შავ და ბილწ საქმეში არიან გარეული ესენი, ეს მოღალატეები, პირადი კეთილდღეობისთვის...

ჯერ თავო და თავოო, ეს ადამიანის თვისებაა, ალბათ, მაგრამ ყველაფერი ხომ არ იყიდება?! რაღაც ხომ უნდა დაიტოვო ბოლო კოზირად, სიტყვის სათქმელად — ფეხზე რომ წამოდგე?! ყველაფერს თუ გასცემ, გასაცემი რომ აღარაფერი აღარ დაგრჩება, იაფფასიან მეძავს რომ დაემსგავსები, უპატრონოთა სასაფლაოზე მოგიწევს უსახელოდ დამარხვა და ცოდვაა ქართველი ერი ამისთვის...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

სექსუალური გოგია

პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური ნოველა

ექიმმა ჯერ კიდევ ექვსი თვის წინ უთხრა გოგიას, შენთვის სექსი აღარ შეიძლებაო.

— მაიცა, სუ აღარა? — შეიცხადა ამან.

— ჰო, ამ ეტაპზე თავი შეიკავე, თორე შეიძლება გულმა "დაგისტუკოს", — მიუგო ცალყბად ექიმმა.

— ღადაობ, ტოოო?! — გაწითლდა ესა.

— ისე, პოლიტიკასაც თუ დაასვენებ კაი ხნით, არც ეგ იქნება ურიგო, ძმურად გეუბნები, — მიახალა ექიმმა და ღიპზე თითები აათამაშა.

— ესე იგი, რა გამოდის, მაჯობა?! — ლამის გაგიჟდა ესა.

— ვინ?

— იმან!

— ვინ იმან?

— ბიძინამ!

— რომელზე იძახი, შარშან ოღასკურაში რო გადახტა?

— ბიძინამ, ბიჯოოო, ივანიშვილმა, ოეეე! — გაგიჟდა ესა.

— გაჯობებდა, მა რა იქნებოდა? — გაიცინა ცალი ლოყით ექიმმა, გოგიას რო არ დეენახნა.

— რათ უნდა ეჯობნა?! — ჩაეხრინწა ხმა ამას.

— იძახიან, ბევრი ფული აქვსაო, — კვლავ გაიხედა უსასრულობაში ექიმმა.

— ფულია მარტო? კაცობა და ვაჟკაცობა დეიკარგა ვითამ? დროშა ვერ დაკიდენ, ბიჯოოო, დროშა, რა ფულზეა ბაზარი?! — ისევ გაწითლდა ესა.

— ჰი, ჰი, ჰი! — ახვიხვინდა ექიმი.

— ბიძინა იქით იყოს, ჩემ ქვეყანას მაგას ვერ დავუტოვებ საჯიჯგნადა... ბიჯო, ერთი ქალი მყავს დასაკერი, ბავშვობიდან მომდევს მისი დაპყრობის ჟინი, ახლა გამიჩნდა შანსი და შენ მეუბნები, სექსი „იოხტურაო"?!

— მე არა, საკუთარი გული გეუბნება მაგას.

— საკუთარი გული მეუბნება, მაი ქალი არ გოუშვა ხელიდან, თორემ ინანებო, — გადმოკარკლა თვალები ისევ ამან.

— მე ჩემი გითხარი, დანარჩენი შენზეა, რავი, დაკერე, — ჩაიცინა ექიმმა და პალატიდან ღიღინით გაუჩინარდა.

●

გოგიას მოუსვენრობა დასჩემდა, ძილი გაუტყდა, ბალიშზე თავს დადებდა თუ არა, გონებაში იმ ქალის სახე ამოუტივტივდებოდა და თვალებს მაცდურად უპრაწავდა ხოლმე. არა, ცხოვრებაში ქალებიდა და თვალების პრაწვის მეტი რა უნახავს, მაგრამ ეგეთი? არა, ძმაო, ეგეთი არასოდეს. ბოლოს ისე გაუხდა საქმე, ბალიშზე თავს აღარ დებდა, სავარძელში ჩასთვლემდა, ფეხებს „ტაბურეტკაზე" შემოაწყობდა იმ იმედით, შეიძლება აღარ ამომიტივტივდეს, ცოტა ხანს მაინც დავისვენოო, მაგრამ უარესი ემართებოდა, იმ ქალის ხმა ჩაესმოდა, ოღონდ რაღაცნაირად, მონოტონურად, მოდუდუნედ: გოგიიიიიი... გოგიიიი... მოდიიიი!

წავიდოდა, როგორ არ წავიდოდა, განა არ წავიდოდა? ჰეეე... ბარემაც რომ წავიდოდა და სუროსავით შემოეხვეოდა, მაგრამ პარტიის თავმჯომარემ უთხრა, არც კი გაბედო, შეიძლება ორგაზმი საბედისწერო აღმოჩნდეს შენთვისო. არადა, რა იცის პარტიის თავმჯდომარემ, მის სულსა და გულში, მის ორგანიზმში როგორი ჩხუბი მიმდინარეობს?

ერთ დღესაც კი არა და... ერთ ღამესაც გაწყდა მოთმინების ძაფი, დაიცალა მოთმინების ფიალა... აიღო ამან ტელეფონი და დარეკა... არც უყოყმანია, არც არაფერი, სადაც წვრილია, იქ გაწყდესო, ჩაილაპარაკა და გაისმა კიდევაც: ტუუუუ... ტუუუ... ტუუუ... მესამე ტუუუ-ზე გაისმა სანუკვარი ხმა.

— ალიოოო.

— შენა ხარ, ჩემი გულის ფორიაქო?

— რომელი მიჰქარავ მანდა? — ამოიგმინა ქალმა.

— გოგია ვარ, ცოტა ხმას დოუწიე და რაცხა ნორმალური მითხარი ახლა, ხო იცი, მზე და მთვარე შენზე ამომდის დღე და ღამე! — აჩხნავლდა ესა.

— გეიკეთე ერთ ადგილას შენი მზე და მთვარე, გინდა დღისით, გინდა — ღამით, — გადიკისკისა ქალმა.

— ჩვენ უნდა შევხვდეთ, თბილისში ბინა მაქ ნაქირავები, კაი „სპალნა", კაი „ქუხნია", „ჩაშკა-ლოშკა", კონიაკი და წითელი ხიზილალა კარაქიან პურზე გადასმული...

— მაიცა, გოგი, ქორწილი გაქ? — აჭყლოპინდა ქალი.

— უნდა დაგიპყრო, ოკუპაცია მწყურია!

— ოკუპანტი ხარ?

— ოკუპანტი ვარ, ოღონდ ევროპიელი!

— ჰი, ჰი, ჰი... ევროპიელი ოკუპანტი ვის გაუგონია, ბიჭო?

— ეხლა გეიგებ, ჩემო კოკორო!

— ხვალ გამოგივლი ჩემი მანქნით და წევეით თბილისში.

როგორც იქნა, გათენდა... ქუთაისში პირველმა მამალმა იყივლა თუ არა, გოგია ჯერ შეხტა, შემდეგ თვალები დააჭყიტა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს „ტრუსიკის" რეზინი გამწყდარიყო და სძვრებოდა. არადა, არ იყო გაწყვეტილი, საგულდაგულოდ გადაამოწმა. თავში აზრმაც კი გაჰკრა, შეიძლება წუხელ ბერამ თავისი რომელიმე ძმაკაცი მომიგზავნა და „ტრუსიკი" შემიცვალაო. თუმცა ეს აზრი განაგდო, ეგენი არც ეგეთი მაგრები არიანო. ჯანდაბას, რაც არი, ეგ არი, სადაც წვრილია, იქ გაწყდეს, ნეტაი ჩემი „ტრუსიკის" რეზინი ვის აინტერესებსო?

●

გოგიამ საკანში გაიღვიძა. თვალები მუშტებით მოიფშვნიტა. ფეხი გაიქნია, ნებიერად გადატრიალდა და... ძირს ბრაგვანი მოადინა. გულმა ძგერა უყო. წამოჯდა. ჰმ... სადანა ვარო? — იკითხა. არავინ გამოეხმაურა. წამოდგა. ელდა ეცა. ნუთუ? დაუჯერებელია!

— ოეეეე! — დაიღრიალა.

„კარმუშკა" გაჩხაკუნდა.

— რა იყო, რა გაღრიალებს? — იკითხა მორიგემ.

— რატომ ვარ გამოჩენილი ქართველი პოლიტიკოსი აქა?!

— დაგიჭირეს, ბატონო, გაგსკვანჩეს, — მიუგო იმან.

— შეცდომაა!

ამ სიტყვამ გამოაფხიზლა, ტვინში უცებ წამოუტივტივდა, როგორ გადაიშხლართა „სპალნაში", როგორ ცლიდა ჭაჭით სავსე „რუმკას" „რუმკაზე", როგორ დაუწყო ქალმა ალერსი და შემდეგ ვიდეოს გადაღება ტელეფონით. გაახსენდა, რომ სააქაოს აღარ იყო, თითქოს ნირვანაში განისვენებდა, მაგრამ ამავე დროს იტანჯებოდა, ცალი ფეხი კუპრიან ქვაბში ჰქონდა ჩაყოფილი.

— არ ვიცი, ბატონო, მე პატარა კაცი ვარ, მოგიყვანეს, ჩაკეტეო, ჩაგკეტე, გაგეღვიძა, გითხარი, მორჩა კინო.

ტვინში უცებ ამოუტივტივდა ბუნდოვანი კადრები, პოლიციელებმა რომ მიაკითხეს და უთხრეს, „ტრუსიკი" ჩაიცვი და წამოდიო. ჩაიცვა, წაჰყვა, სხვა რა გზა ჰქონდა? ჰო, გაახსენდა, რომ „ტრუსიკი" ჩაიცვა, ჯერ უკუღმა, მერე წაღმა, გეგონება რეზინი ისევ გაწყვეტილი იყო, მაგრამ მაგის დარდი ვიღასა ჰქონდა?

— ფურცელი და კალამი მინდა სასწრაფოდ!

— რათა? — ჩაეკითხა მორიგე.

— საგანგებოდ უნდა მივმართო საზოგადოებას!

— ეხლავე მოგართვათ?

— დიახ, ეხლავე, დაუყოვნებლივ! — განაცხადა გოგიამ და შემოაწოდეს რა ფურცელ-კალამი, ეგრევე დაჯდა წერადა.

თავიდან ცოტა შეფიქრიანდა, ვერ გადაეწყვიტა, რანაირად უნდა დაეწყო: ამხანაგო საზოგადოებავ... არა, „ამხანაგო" ტეხავს, სოციალისტურია, არ ეკადრება. მეგობრებო, ვიღებ კალამს, გიძღვნით სალამს, ვიქნევ ალამს... თითქოს არაუშავს, მაგრამ მაინც ვერ არი იგეთი ლაზათიანი, როგორიც უნდა იყოს. ხელი ჩაიქნია, სადაც წვრილია, იქ გაწყდეს, მხარდამჭერებსა და ძმაკაცებს მივმართავ, ვინც თავი შორს დეიწირა კიდევა, იმის ეგრე და იგრეცა:

„ჩემო მეგობრებო და მხარდამჭერებო, მოგესალმებით გლდანის ციხის, საკარანტინე კორპუსის 61-ე საკანში მჯდომი ივანიშვილების ოჯახის პირადი პატიმარი, გოგი წულაია!

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, უნდა ითქვას, რომ აქ მთავარი არის ჩემი შეცდომის და გულუბრყვილობის ამბავი, ზედმეტი ნდობის შედეგი, მაშინ როდესაც მაფრთხილებდნენ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ყველა სფეროს წარმომადგენლები, ასე მარტივად არ უნდა წამოვგებოდი ამ პროვოკაციას, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ არავისთვის ჩემი საქციელით ზიანი არ მიმიყენია.

„თუ გინდა მოწინაღმდეგე გაანადგურო, მას დააბრალე ის, რასაც მთელი ცხოვრება ებრძვის".

ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში პატარ-პატარა გებელსები 21-ე საუკუნეშიც გადმოყვნენ, 1988 წლის შემდეგ ვარ ეროვნულ მოძრაობაში და მის მერე ვაპროტესტებ და ვებრძვი რუსეთისგან საქართველოს გაწეულ ძალადობას. ვებრძვი და ვაპროტესტებ კომუნისტებიდან დაწყებული ბიძინა სულთნით დამთავრებული, ვებრძოდი ყველა ადამიანს ვინც ძალადობდა მეორე ადამიანზე და ახლაც ვებრძვი ნამახვან ჰესის აშენებას, რამე თუ ვთვლი, რომ ეს არის ძალადობა ბუნებაზე, ამ ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, და ზუსტად აქ მტკიცდება, რომ დღესაც ჩვენ ქვეყანაში ბევრი არიან გებელსები, გერინგები, ბერიები და ასე შემდეგ.

ახლა მივმართავ ოპოზიციის ლიდერებს, პოლიტიკოსებს იმის შიშით, რომ თურმე ევროპასთან არ დაგასმინოთ ვინმემ რომ ქალზე მოძალადეს უცხადებენ სოლიდარობასო, ერთი სიტყვაც არ დაგისველებიათ ჩემს მხარდაჭერისათვის, თუ კი ერთხმად ყველა ვთანხმდებით და ვამბობთ, რომ გიორგი რურუა არის პოლიტპატიმარი (გამარჯობა, გიორგი მალე ამომწევენ კორპუსზე და გნახავ), მას პოლიციამ მოუწყო პროვოკაცია და ჩაუდო იარაღი და ჩემს შემთხვევაში პოლიციელები იყვნენ „უპატიოსნესები" და ამ „პატიოსანმა" პოლიციელებმა სრული დაცვით დამაპატიმრეს, კი ბატონო, ეგრე იფიქრეთ.

ჩვენ ყველა ერთად ვყვირივართ, რომ საქართველოში სამართლიანი სასამართლო არ არსებობს და ამის გამო ნიკა მელია (გამარჯობა ნიკა) არის პოლიტპატიმარი. როგორ ფიქრობთ მე შემხვდა პატიოსანი, უმწიკლო მოსამართლე და პატიოსნად გამასამართლა?

არ ვიცი, ეს რა ლოგიკააა და თუ ესე არ ფიქრობთ იქნებ მაღიაროთ ივანიშვილების ოჯახის პირად პატიმრად და ესეც გაიტანოთ ჩვენ მეგობრებთან, თუ როგორი კატასტროფული სიტუაცია არის ჩვენს ქვეყანაში, პოლიტპატიმრებს პირადი პატიმრებიც დაუმატეს. რა ვიცი, რა ვიცი.

ჩემო მეგობრებო, ადამიანებო, რომლებსაც გიყვარვართ და მოგწონვართ, თუ ამ საქციელის გამო ჩემდამი პატივისცემა არ გაგნელებიათ და თვლით ამ პროვოკაციის და ჩემი შეცდომისთვის ციხეში 6 წლით (ასე მიპირებენ) გატარების ღირსი არ ვარ, გთხოვთ თქვენს მხარდაჭერას!

პატივისცემით, თქვენი გოგი წულაია".

გოგიამ ფურცელს სინანულით დახედა, კიდევ ერთხელ გადაიკითხა და თვალთაგან ცრემლები ღაპა-ღუპით წამოსცვივდა. ყველაზე მეტად ბოლო სიტყვებმა იმოქმედა: "პატივისცემით, თქვენი გოგი წულაია". ამის დაწერას არც კი აპირებდა, უნებლიედ ამოუვარდა ტვინიდან და დიახაც, ასეა, მისი სხეული სამშობლოს ეკუთვნის, ხოლო სული კი ზეცას,

გოგია ჯერ აქვითინდა... მერე აზლუქუნდა...

— დედაააა... დედა მინდააა... სახლში მინდააა... ფისი მინდააა!!!

●

ამას წინებზე სალომე ასათიანი (ირმა სოხაძის ქალიშვილი) ლაპარაკობდა რადიოში, ქალსა და მამაკაცს შორის სექსი ერთგვარი ჩხუბიაო, დაპირისპირებაა, აგრესიააო, ეგრე სწერია „კამასუტრაშიო". ჩხუბის ამგვარი სახეობა ფაქტობრივად ხელოვნებააო.

მეტსაც გეტყვითო, სექსის დროს კბენა, ფხაჭნა და ღრენა ჩვეულებრივი მოვლენაა, აუცილებელიც კი არისო.

ეხლა რა გამოდის?

მაშ, რას ედავებით ქუთაისელ გოგიასა?

ჰა, რას ედავებით-მეთქი?!

კატეგორიულად ვითხოვ, გოგიტა წულაია გასამართლდეს „კამასუტრას" დისციპლინის მე-7 თავის, მე13 ქვეთავისა და მე-19 პოზის მიხედვით!

გაუძელ, გოგი!

ნოველა რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით დაწერა

გელა ზედელაშვილმა

555 48 48 61

ჯო ბაიდენს დონალდ ტრამპი მოენატრა

პოლიტიკური გაურკვევლობა მსოფლიოში ყოველდღიურად იზრდება. პოლიტოლოგების შეშფოთებას გაურკვევლობაზე მეტად გამწვავებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება იწვევს, რომელმაც მთელი პლანეტა მოიცვა. პოლიტოლოგების განსაკუთრებულ ყურადღებას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის შექმნილი დაძაბული სიტუაცია იწვევს. თუმცა, ჯო ბაიდენის ინაუგურაციის შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ ორი დიდი, ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნის ლიდერები შეძლებდნენ საერთო ენის გამონახვას. იმედის საფუძველს იძლეოდა შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმების გაგრძელება. თუმცა, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მიერ რუსი კოლეგის მისამართით მკვეთრმა გამონათქვამებმა სასგონებელში ჩააგდო როგორც მსოფლიოს ქვეყნების პოლიტოლოგები, ასევე ამერიკის საზოგადოება. რუსეთის ელჩი აშშ-ში ანატოლი ანტონოვი დღემდე მოსკოვშია და როდის დაუბრუნდება მოვალეობების შესრულებას, არავინ უწყის. თეთრი სახლის ადმინისტრაციამ, ფაქტობრივად, უარი თქვა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის შეთავაზებაზე — პირდაპირ ეთერში გამართულიყო დებატები ჯო ბაიდენთან.



პრეზიდენტს და სახელმწიფო მდივანს ენტონი ბლინკენს თავიანთ გამონათქვამებში კატეგორიულად არ დაეთანხმნენ აშშ-ის სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. 30-მდე ორგანიზაციის წარმომადგენელმა წერილობით მიმართა ჯო ბაიდენს მოთხოვნით, შეწყვიტონ პუტინის ლანძღვა და იფიქრონ მწვავე პოლიტიკური სიტუაციის განმუხტვისთვის მოლაპარაკებების დაწყებაზე. მათი განცხადებით, ბირთვული იარაღის მქონე ორ ქვეყანას შორის დაპირისპირება მსოფლიოს კარგს არაფერს მოუტანს. ვნახოთ, გაითვალისწინებს თუ არა საზოგადოების აზრს თეთრი სახლის ადმინისტრაცია. ექსპერტებმა კარგის ნიშნად მიიჩნიეს პენტაგონის თანამშრომლების და რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების სატელეფონო საუბარი, მაგრამ დეტალები მხარეებს არ გაუსაჯაროებიათ, რამაც ბევრი კითხვის ნიშანი დატოვა.

ურთიერთობა აშშ-სა და ჩინეთს შორის ჯერ კიდევ მარტის შუა რიცხვებში კიდევ უფრო გამწვავდა. ალიასკაზე გამართული აშშ-ჩინეთის სამიტის პირველი რაუნდი, ფაქტობრივად, კრახით დასრულდა. მხარეები არ მოერიდნენ ერთმანეთის მიმართ მკვახე გამონათქვამებს. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეხვედრის შემდეგ გაავრცელა განცხადება, რომ მოლაპარაკებები იმ შემთხვევაში გაგრძელდება, თუ ამერიკელები ტონს შეიცვლიან. „...ჩინეთს აქვს პრეტენზია, მსოფლიოში გლობალური დომინანტი გახდეს, რასაც მე არ დავუშვებ!“ — განაცხადა ჯო ბაიდენმა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვან ის ირანსა და თურქეთში განხორციელებული ოფიციალური ვიზიტების შემდეგ.

არ გამართლდა იმ ექსპერტების ვარაუდი, რომლებიც აცხადებდნენ, რომ აშშ-ის მსოფლიო ლიდერობის შესანარჩუნებლად ჯო ბაიდენი ერთ-ერთ მხარეს — ჩინეთს ან რუსეთს მიემხრობოდა მეორის „ჩასაძირად“ უპირატესობას ჩინეთს ანიჭებდნენ, რადგან წლებია ორი ქვეყნის ეკონომიკა ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული. დაპირისპირების შემთხვევაში, არათუ აშშ-სა და ჩინეთის, არამედ მსოფლიოს ეკონომიკა შეირყევა. ჰენრი კისინჯერმა, გასულ კვირას ევროპაში ყოფნისას კიდევ ერთხელ გაიმეორა ათწლეულების წინათ თავისივე ნათქვამი, რომ „დაუშვებელია აშშ ერთდროულად დაუპირისპირდეს ჩინეთსაც და რუსეთსაც“.

საინტერესო გახლდათ ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვან ის ირანში განხორციელებული ოფიციალური ვიზიტი უმაღლეს დონეზე. ტრადიციულად, ორივე ქვეყნის დიპლომატები, ძირითადად, ზოგადად საუბრობენ საჯაროდ მოლაპარაკებების შედეგებზე. ამჯერადაც მწირი ინფორმაცია გავრცელდა ვან ის ვიზიტზე. გაფორმდა ფართომასშტაბიანი შეთანხმება ორ ქვეყანას შორის 25 წლის ვადით. ექსპერტების შეფასებით, ჩინეთი დაინტერესებულია ირანული ნავთობით, გლობალური პროექტის „აბრეშუმის გზის“ გაფართოებით და გაგრძელებით. თავის მხრივ, ირანელებს კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინის გარდა, სურთ შეიარაღების (სავარაუდოდ, ბირთვული) შეძენა. ექსპერტების შეფასებით, შეთანხმების განხორციელების შემთხვევაში, ორივე ქვეყანა საგრძნობლად გაძლიერდება. როგორც ვხედავთ, რეგიონში ჩინეთი ამბიციური მიზნებით იმკვიდრებს ადგილს, რაც ჩვენი ქვეყნისთვისაც საყურადღებოა.

როგორც იქნა, ორთვიანი დუმილი დაარღვია აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა და ბრიფინგი გამართა. დიდ პრესკონფერენციას ამას ვერ დავარქმევთ, რადგან მხოლოდ 62 წუთს გაგრძელდა და ბაიდენმა მხოლოდ წინასწარ მომზადებულ 10 კითხვას უპასუხა. პრეზიდენტმა ძირითადად ისაუბრა კოვიდის, მიგრანტების პრობლემებზე. მისი განცხადებით, იგი მეორე ვადითაც აპირებს გახდეს პრეზიდენტი. ბაიდენის თქმით, იგი კარგი ბიჭია, რადგან ამდენი მიგრანტი ჩავიდა ქვეყანაში. მიგრანტებზე საუბრისას, ტრადიციულად, წინამორბედი გააკრიტიკა: „...ჩვენ (ანუ, დემოკრატიულ პარტიას) 700 მილიონი დოლარი გვქონდა გამოყოფილი, რათა გაჭირვებულ ქვეყნების მოქალაქეებს დაბხმარებოდით, არ მიეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები, მაგრამ ტრამპის ადმინისტრაციის დროს ეს თანხა დაიკარგა“. იქვე მან თქვა, რომ, თურმე მოენატრა დონალდ ტრამპი! „...სი ძინპინს დემოკრატიის ფესვები არ გააჩნია, მაგრამ პირდაპირი ადამიანია“, — განაცხადა ბაიდენმა იმავე ბრიფინგზე.

ბრიფინგი უცნაური ფორმატით მიმდინარეობდა. ტელეკამერებმა დააფიქსირეს, რომ ჯო ბაიდენი „შპარგალკებით“ სარგებლობდა. მას ჰქონდა იმ ჟურნალისტების სია ფოტოსურათებით, ვისთვისაც უნდა მიეცა სიტყვა, ვის უნდა დაესვა პირველი და მომდევნო კითხვები... არათუ უცხოელი, თავად ამერიკული გამოცემების ჟურნალისტებსაც არ მიეცათ საშუალება, დაესვათ შეკითხვა პრეზიდენტისთვის. მათ შორის იყო დონალდ ტრამპის და რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერი ტელეკომპანია „ფოქს ნიუსის“ წარმომადგენელიც. ჯო ბაიდენის მიერ „შპარგალკის“ გამოყენება მსოფლიოში არავის გაკვირვებია. აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ 100 წლის მანძილზე პირველი შემთხვევაა, რომ ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა მხოლოდ 2 თვის შემდეგ გამართა პირველი ბრიფინგი (თანაც, როგორი!). გაიხსენეს, რომ პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი ინვალიდის ეტლით გადაადგილდებოდა, მაგრამ პრესას რეგულარულად ხვდებოდა.

ამერიკელი პოლიტოლოგები ღიად აფიქსირებენ, რომ აშშ-ში ძალაუფლება, ფაქტობრივად, ვიცე-პრეზიდენტ კამალა ჰარისის ხელშია. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ახალი დირექტორის ფიცი მან ჩაიბარა, რაც პრეზიდენტის პრეროგატივაა. მათივე შეფასებით, დემოკრატები ამოწმებენ ამერიკის მოსახლეობის პოლიტიკურ განწყობას, თუ როგორ შეეგუებიან ისინი ფერადკანიანი ქალის აშშ-ის პრეზიდენტობას.

გასულ კვირას ვიდეოკონფერენცია გამართეს საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა და რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა. განსახილველი ერთ-ერთი მთავარი საკითხი უკრაინის სამხრეთ ნაწილში, კერძოდ, დონბასში გართულებული ვითარება იყო. სამივე ქვეყანა მინსკის მოლაპარაკებების წევრია. საინტერესოა, რომ სასაუბროდ არ მიუწვევიათ უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმირ ზელენსკი. პოლიტოლოგები ამ გარემოებას რამდენიმე ფაქტორით ხსნიან. მთავარ მიზეზად ზელენსკის არასაიმედო პარტნიორობას ასახელებენ. უცნობია, რა გადაწყვეტილება მიიღეს კონფერენციაზე მინსკის მოლაპარაკებების და შუამავლების წევრებმა უკრაინის თემასთან დაკავშირებით. სამაგიეროდ, საფრანგეთი და გერმანია არ გამორიცხავენ რუსული ვაქცინის „სპუტნიკ-3“-ის შეძენას.

ვითარება დონბასის რეგიონში რომ გაუარესდა, ამის შესახებ ექსპერტები უკვე ორი კვირაა, საუბრობენ. გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინის ხელისუფლებამ რეგიონში გადაისროლა შეიარაღებული ძალების დიდი რაოდენობა. ექსპერტების შეფასებით, კონფლიქტის გამძაფრების შემთხვევაში, ადვილი შესალებელია, უკრაინამ საერთოდ დაკარგოს სახელმწიფოებრიობა. გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინის ხელისუფლება მხოლოდ დონეცკის მიმართულებით განხორციელებული შეტევით არ შემოიფარგლება. უკრაინელების გეგმის მიხედვით, იმავდროულად დაიწყებენ ბრძოლას ყირიმის დასაბრუნებლად, რაც, ფაქტობრივად, რუსეთისთვის ფართომასშტაბიანი ომის გამოცხადება იქნება. მოვლენების ასეთი განვითარების შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია, სამყარომ მესამე მსოფლიო ომი მიიღოს.

ვითარებას ართულებს ის გარემოებაც, რომ გასულ კვირას ჯო ბაიდენი ტელეფონით ესაუბრა ვლადიმირ ზელენსკის და რუსეთთან ომის შემთხვევაში დახმარებასაც დაჰპირდა. პენტაგონის შეფი ლოიდ ოსტინიც ესაუბრა ტელეფონით უკრაინელ კოლეგას. ოსტინის განცხადებით, უკრაინას რუსეთთან პირისპირ მარტოს არ დატოვებენ. მოვლენების განვითარების პროგნოზირება შეუძლებელია. ერთი კი აშკარაა — ყირიმში ომის დაწყება შავი ზღვის აუზს საბრძოლო მოქმედებების არეალად აქცევს, რაც საქართველოს უაღრესად ცუდ შედეგს მოუტანს. თუმცა, იმედი დავიტოვოთ, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს.

გია ბურდული
551 71 27 07

ასკურავას მეთოდი - ძვალ-სახსროვანი დაავადებების უნიკალური სამკურნალო საშუალება, რომლის ბადალიც მსოფლიოში არ მოიპოვება!

ბიჭიკო ასკურავა და მკურნალობის მისი უნიკალური, უძველესი და დროში გამოცდილი მეთოდი ცნობილი და აღიარებულია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც. ასკურავების საგვარეულო მეთოდით განკურნებულა და ბევრჯერ სიკვდილს გადარჩენილა არაერთი ისეთი ავადმყოფი, რომელსაც ვერ კურნავდა და დღემდე ვერ კურნავს თანამედროვე მედიცინა.

იმის მიუხედავად, რომ მედიცინამ უდიდეს პროგრესს მიაღწია და დაავადებათა შესწავლა და პროფილაქტიკა მოლეკულურ დონეზე მიმდინარეობს, ის სამკურნალო საშუალებები, რაც ბუნებაში მოიპოვება და რასაც თავად დედამიწა გვთავაზობს, მაინც შეუცვლელია.

რამდენიმე დღის წინ ვესტუმრე ასკურავების სამკურნალო ცენტრს. ბატონი ბიჭიკოს სამუშაო კაბინეტში დამხვდა ცნობილი სახალხო მკურნალის შვილიშვილი, ბატონი დავით ასკურავა.

დავით ასკურავა მეუღლესთან ერთად

Public healer ASKURAVA
Народный целител Аскурава

— სამწუხაროდ, ორი თვეა, რაც ბაბუა გარდაიცვალა და მის საქმეს ვაგრძელებ მე. მან ეს საქმიანობა კარგა ხნით ადრე გადმომაბარა, თუმცა, სანამ შეეძლო, მანამდე ერთად ვმკურნალობდით პაციენტებს. ბაბუა მოულოდნელად გარდაიცვალა. ის სიცოცხლის ბოლო წუთებამდე იღებდა პაციენტებს. მეც მის გვერდით ვიდექი. ფაქტობრივად, მას შემდეგ, რაც სკოლა დავამთავრე, 16 წლიდან ბაბუას ე.წ. დამხმარე ვიყავი.

— სპეციალობით ექიმი ხართ?

— დიახ. სამედიცინო დავამთავრე, სამკურნალო-ტრავმატოლოგიური ფაკულტეტი. რაც უმაღლესი სამედიცინო განათლება მივიღე, მას მერე ბაბუაჩემი პირადად მანდობდა ხოლმე პაციენტებს — მაბარებდა ავადმყოფებს: შენ მიხედეო. 10 წელიწადი მისი მეთვალყურეობით ვმკურნალობდი ავადმყოფებს.

მას შემდეგ, რაც ბაბუა აღარ არის, ხშირად ვათვალიერებ ჩემი პაციენტების დაწერილ უამრავ მადლობის წერილს. ეს მაძლევს ძალას, რომ იმ ადამიანებს დავეხმარო, რომლებსაც ბაბუას იმედი ჰქონდათ. ახლა მე ვარ მათი იმედი. ეს დიდი პასუხისმგებლობაა.

დიდი ხანი არ არის, რაც სამთავროს დედათა მონასტრის ოთხ მონაზონთან დავასრულე მკურნალობის კურსი. ვცდილობ, ჩვენს ეკლესიას უანგაროდ დავეხმარო.

სხვათა შორის, ახლახან კორეელი პაციენტიც მყავდა ხუან ლონგ ლი, მას კოჭ-წვივის ძვლის მოტეხილობა ჰქონდა. ხუან ლი ავტობანის მშენებლობის ინჟინერია საქართველოში. მის მეუღლეს ჰინ ჯინ ლისაც ვუმკურნალე სახსრების დაავადებაზე.

— მოდი, კიდევ ერთხელ შეგვახსენეთ, თქვენი მკურნალობის არეალი რომელ დაავადებებს მოიცავს?!

— ჩვენი საგვარეულო მეთოდით, ქირურგიული ჩარევის გარეშე, სწრაფად, ეფექტურად და უმტკივნეულოდ ვმკურნალობ სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, პერტესს, პოდაგრას, ძვლების სხვადასხვა ტიპის დაავადებებს.

— ასაკთან დაკავშირებულ ძვალ-სახსროვან დაავადებებსაც მკურნალობთ?

— ართრიტი, ართროზი, კოქსართროზი, გონართროზი, მუხლის, ბარძაყის, ხერხემლის სხვადასხვა ასაკობრივი დაავადებები ჩემი მკურნალობის პირდაპირი პროფილია.

დაავადებებს უფრო ეფექტურად და სწრაფად დასაწყის სტადიაში ვკურნავ. თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ I, II, III სტადიაში ძვალ-სახსროვან დაავადებებს ვუშველი, თუმცა ჩემი რჩევაა, დროულად მიაქციოს ადამიანმა ყურადღება ჯანმრთელობას. ტკივილი არის სიგნალი, რომელსაც ორგანიზმი იძლევა და გთხოვს, მიეხმარო. ჩვენ ვეხმარებით ავადმყოფის ძვლებს, ვამაგრებთ, ვაძლიერებთ და ამით ვუნარჩუნებთ სიცოცხლის ხანგრძლივობას არა მხოლოდ ძვალ-სახსროვან სისტემას, არამედ თავად ადამიანს.


ბიჭიკო ასკურავა

ასკურავების საგვარეულო მეთოდით მკურნალობა ავადმყოფობას აჩერებს ერთ სტადიაზე, ტკივილები წყდება, ყველაზე პროგრესირებადი დაავადება — ძვლების განლევის პროცესი — ჩერდება.

— ავადმყოფმა წამლები ორგანულად უნდა მიიღოს, მალამოები უნდა წაისვას თუ?

— ჩვენ ვამზადებთ საფენებს, რომლებიც კვირაში ორჯერ უნდა გამოიცვალოს. გადახვევებს ვუკეთებ მე, თუმცა მყავს პაციენტები, რომლებიც რაიონებიდან ჩამოდიან. მათ ვატან საფენებს და ვარიგებ, როგორ უნდა შეინახონ და როგორ გამოიყენონ.

მკურნალობის დაწყებამდე, წარმოდგენა რომ გვქონდეს, რასთან გვაქვს საქმე, პაციენტის რენტგენის სურათია საჭირო. თუ დაავადება მესამე სტადიას გადასცდა, დაავადების მიმდინარეობას ვაჩერებთ. ხოლო, როგორც ვთქვი, დასაწყის სტადიებს სრულიად ვკურნავთ.

— დასაწყისი სტადია რომ აქვს, პაციენტი როგორ უნდა მიხვდეს?

— ტკივილით. ოღონდ თუ კოჭის, მუხლის, მენჯ-ბარძაყის, მკლავის, მაჯის სახსრები ერთდროულად სტკივდება, ეს უკვე რევმატიულია და სხვა ჩარევაა საჭირო.

ართროზს, კოქსართროზს, გონართროზს, კიფოზს, სქოლიოზს, თიაქარს, კონკრეტულად, თუნდაც, ძვლის 5-6 სმ-იან თიაქარს, ხშირ შემთხვევებში, წარმატებულად ვკურნავთ.

— ბატონო დავით, თქვენ ისეთი დაავადებები ჩამოთვალეთ, რომლებითაც მსოფლიოს მოსახლეობა იტანჯება და ამ დაავადებების საწინააღმდეგოდ დღემდე წამალი არ არსებობს.

— არსებობს და ეს წამალი საქართველოშია. ჩვენი ბუნება გვაძლევს ამ შესაძლებლობას. ეს არ არის სასწაული. ბაბუა წლების განმავლობაში კურნავდა მსგავსი დაავადებების მქონე პაციენტებს. მსოფლიომაც აღიარა ბიჭიკო ასკურავას მკურნალობის მეთოდი და მიანიჭა მას ჩინეთისა და ამერიკის სამედიცინო სფეროს აკადემიების საპატიო აკადემიკოსის წოდება.

— ასაკოვანი ადამიანებისთვის აუცილებელია ზომიერი ფიზიკური აქტივობა. თქვენი მკურნალობა ფიზიკურ ვარჯიშებს ხომ არ ითვალისწინებს?

— დიახ, ჩვენ გვყავს მეთოდისტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, თვითონ ავარჯიშებს დაავადებულ პაციენტს, ან თუ იყო, ვთქვათ, მოტეხილობა, შეხორცების დროს ე.წ. ჩაკეტვის შემთხვევაში, აუცილებელია, ვარჯიში და მასაჟი.

— ძვალ-სახსარს კვებავს, აგრეთვე, ვიტამინები და მინერალები, რომლებსაც ჩვენ ვიღებთ საჭმელის სახით. მძიმე ეკონომიური მდგომარეობაა ქვეყანაში, მაგრამ მაინც რომ მივცეთ რჩევა, რითი უნდა იკვებონ ხანშიშესულმა ადამიანებმა?

— ბულიონები, ხორცის ნახარში, ხაში საუკეთესო საშუალებაა. ხილი და ბოსტნეული, აუცილებლად.

ბიჭიკო ასკურავა და რეზო ჩხეიძე

დაავადებები, ძირითადად, პროგრესირდება კალციუმის ნაკლებობის გამო, ამიტომ ორგანიზმს გარედან უნდა მივაწოდოთ კალციუმი და სხვა ტიპის მინერალები. აუცილებელია კალციუმის ციტრატი დ-3-ის მიღება. ამ ციტრატის დეფიციტი იწვევს სახსრების ცვეთას. ასაკოვანი ადამიანები, საერთოდ, უნდა ერიდონ ზედმეტ ფიზიკურ დატვირთვებს, მძიმე შრომას და ა. შ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ უმოძრაოდ უნდა იყვნენ. მოძრაობა არის სიცოცხლე. აუცილებელია აქტივობა, ვარჯიში. ჯანმრთელმა ადამიანმაც კი, მაგალითად, ხელი რომ გააჩეროს 2–3 დღე და საერთოდ არ აამოძრაოს, სახსარი ჩაეკეტება, ხელი გაშეშდება და დაახლოებით, 2 თვეა მერე საჭირო, რომ სახსარი სრულყოფილად გაიხსნას.

— კვლავ ეკონომიკა რჩება ჩვენი მოსახლეობის პრობლემად. ხშირად პაციენტი ექიმთანაც ვერ მიდის უსახსრობის გამო, თქვენთან მკურნალობა ბევრისთვის ხელმისაწვდომი არ იქნება.

— ბაბუაც ასე იყო და მეც ვაგრძელებ მის გზას და ტრადიციას — გაჭირვებულს ყოველთვის ვეხმარები. ზოგს ანაზღაურების გარეშეც ვმკურნალობ, მხოლოდ მასალა მომიტანონ. ბოლო ხანებში ძალიან ბევრისთვის არც მასალა გამომირთმევია. პანდემიის დროს ავადმყოფების, მგონი, 60%-ს უანგაროდ ვეხმარებოდი. როცა მეუბნებოდნენ, რომ საშუალება არ ჰქონდათ, პანდემიის გამო შემოსავალი შეუწყდათ და მკურნალობის ვეღარ აგრძელებდნენ, მე ვაგრძელებდი მკურნალობას უსასყიდლოდ, ანაზღაურების გარეშე. სანამ შემეძლება და მეყოფა რესურსი, ჩემი ხალხის გვერდით ვიქნები.

დღესდღეობით ტელევიზიებით თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებით უამრავი წამლის და სამკურნალო მეთოდის რეკლამირება მიმდინარეობს — თითქოს არსებობს ალტერნატიული და ნოვატორული მეთოდები და პრეპარატები ძვალ-სახსროვანი დაავადებების სამკურნალოდ, მაგრამ მე მინდა გითხრათ: საქართველოს ბუნება უნიკალურია, ხოლო ასკურავების საგვარეულო წამალი საუკუნეებითაა გამოცდილი. ჩვენ არ გვჭირდება ზედმეტი ხმაური, საქართველოც და მსოფლიოც იცნობს ასკურავების მეთოდს. ჩემი წინაპრები ეხმარებოდნენ ხალხს, მეც ვარ ჩემი ხალხის სამსახურში და არა მხოლოდ ქართველები, იტალიელები, გერმანელები, ჩინელები, ესპანელები, ვისაც მისწვდა ხმა ჩვენს შესახებ, ჩამოდიან საქართველოში ჩემთან სამკურნალოდ. ინგლისში იმდენად პოპულარულია ჩვენი მეთოდით მკურნალობა, რომ ერთმა ემიგრანტმა ქართველმა ექიმმა იქ კაბინეტის გახსნაც კი გადაწყვიტა.

საინტერესო კიდევ ის არის, რომ ჩვენი საგვარეულო წამალი ეფექტურია პოსტოპერაციულ პერიოდშიც. როცა ავადმყოფი იკეთებს ოპერაციას ძვალ-სახსროვანი ტრავმების ან დაავადებების გამო, ოპერაციის შემდგომი პროცესი უფრო მალე და მეტად ეფექტურად რომ წარიმართოს, ჩვენს მეთოდს ვთავაზობთ. თუ პაციენტი 1 თვეში უნდა გამოჯანმრთელდეს, ჩვენ 1 კვირაში ვაძლევთ მას შედეგს.

ასკურავას მეთოდის ეფექტურობა უკვე ცნობილია მრავალ ქვეყანაში. მსოფლიოს ორთოპედთა უმრავლესობა დარწმუნებულია ამ მეთოდის ეფექტურობაში და თვლის, რომ სხვადასხვა სახის მოტეხილობის დროს იგი უფრო ეფექტურია, ვიდრე ქირურგიული ჩარევა.

ჩვენი კლინიკა მდებარეობს თბილისში და მცხეთაშიც. ვაპირებთ კაბინეტების გახსნას საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც.

საჭიროების შემთხვევაში ყველას შეუძლია დაგვიკავშირდეს ნომრებზე:

593 55 00 30;
577 41 19 11;
299 96 94.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

®

ს.ჰ.კ. „კათარზისის“ 2020 წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში

„კათარზისის“ საქმიანობა, როგორც წესი, ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ეს არის ყოველდღიური, სისტემატიური საქმიანობა და პროექტები, რომლებიც, წესისამებრ, ადამიანთა ფართო ჯგუფებზეა ორიენტირებული და პერიოდული ღონისძიებების ან ერთჯერადი აქციების ხასიათს ატარებს.

ყოველდღიური საქმიანობა

„კათარზისი“, ეს არის სოციალური დახმარების კომპლექსური ცენტრი, სადაც თავმოყრილია ის გადაუდებელი სოციალური დახმარებები, რომლებიც დღეს აქტუალურია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის.

დღეს აქ ფუნქციონირებს: უფასო სასადილო, სილამაზის სალონი, პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, აფთიაქი, მეორადი ტანსაცმლით დახმარების სამსახური, ტანსაცმლის შეკეთების სამსახური, ინტერნეტ კაფე, სარეაბილიტაციო-სავარჯიშო დარბაზი, კაფე, ბიბლიოთეკა, არტ.თერაპიის ცენტრი, უბინაოდ დარჩენილ ხანდაზმულთა თავშესაფარი, სამლოცველო, კინოდარბაზი, იურიდიული სამსახური, თეატრალური დარბაზი და მასთან არსებული ხანდაზმულთა თეატრი. „კათარზისის“ შესახებ ფოტო და ვიდეო მასალა შეგიძლიათ იხილოთ მის ვებ. გვერდზე, მისამართზე: Catharsis.ge და ფბ გვერდზე „კათარზისი catharsis“.

ორგანიზაციას აქვს თავისი პატარა სასაფლაო მუხათგვერდის ტერიტორიაზე, სადაც იმ ხანდაზმულების დაკრძალვა ხდება, ვინც ბოლო მიწიერ საქმეშიც ღვთის ანაბრად არიან დარჩენილნი.

„კათარზისის“ 2020 წლის პროგრამული ანგარიში, ისევე როგორც პროცესები საქართველოსა და მთელს მსოფლიოში, ორი ეტაპისაგან შედგება - კოვიდ19-მდე და პანდემიის პერიოდიდან.

სამადლო სასადილო

„კათარზისის“ უფასო სასადილო 1990 წლიდან ფუნქციონირებს და ხანდაზმულთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურია. ჩვენ ბენეფიციარებს ვთავაზობთ ნოყიერ და კალორიულ სადილებს. სპონსორის შემოწირულობით და ჩვენი ორგანიზაციის თანამონაწილეობით ერთი დღის სადილის თანხა 425 ლარს შეადგენს.

პირველი იანვრიდან 12 მარტამდე სასადილო ფუნქციონირებდა სწორედ ასეთ, ჩვეულ რეჟიმში: სპონსორების მიერ ფინანსდებოდა 1, 2, 3 და ა.შ. დღის სადილები. ეს ორგანიზაციები ხშირად სტუმრობდნენ „კათარზისს“, მონაწილეობას იღებდნენ სადილობის პროცესის მიმდინარეობაში და ემსახურებოდნენ ხანდაზმულებს. მსოფლიო პანდემიის გამოცხადების შემდგომ, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, 70 წელს გადაცილებული ადამიანებისთვის სახლში დარჩენის რეკომენდაციისა და დახურულ სივრცეში ადამიანების თავშეყრის აკრძალვის შედეგად, და იმის გათვალისწინებით, რომ „კათარზისი“ ემსახურება სწორედ ხანდაზმული ასაკისა და მაღალი რისკ ჯგუფის ადამიანებს, მუშაობა შეაჩერა დღის ცენტრმა, თუმცა არ გაუჩერებია მუშაობა სასადილოს არც ერთი დღით - გადავედით მომსახურების საგანგებო რეჟიმზე - 12 მარტიდან 22 მარტამდე, მზა სადილები გაიცემოდა „კათარზისის“ ეზოდან, ხოლო ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე ორი დღით ადრე, „კათარზისსა“ და კომპანიებს „გლოვოსა“ და „ვიზას“ შორის შეთანხმებების საფუძველზე მათი მხრიდან სრულიად უსასყიდლოდ დაინყო და დღემდე გრძელდება ხანდაზმულებისათვის ყოველდღიურად მზა სადილებისა და სამ კვირაში ერთხელ მშრალი პროდუქტების ნობათების ბინაზე მიწოდება. აღსანიშნავია, რომ თუ 2020 წლის დასაწყისში ბენეფიციართა რაოდენობა 340 ადამიანს შეადგენდა, აპრილის თვიდან გაიზარდა მათი რაოდენობა და დღეისათვის 450 ხანდაზმულია. მთელი წლის განმავლობაში უფასო სასადილომ გასწია 80000-მდე მომსახურება.

პანდემია და სტრუქტურული ცვლილებები

საქართველოში პანდემიის გამოცხადების შემდგომ საგანგებო მდგომარეობისა თუ სხვადასხვა შეზღუდვების შესაბამისად, ხდებოდა ორგანიზაციის სტაფის გადაწყობა, ისე, რომ შეგვენარჩუნებინა პროცესების უწყვეტობა. ადგილზე მომუშავეთათვის იმავე დღეს მოეწყო უსაფრთხო გარემო და ორგანიზაციამ მუშაობა დაიწყო კოვიდ-რეგულაციის ყველა მოთხოვნის დაცვით. ამასთან, შევქმენით სამუშაო ფბ ჯგუფი, სადაც იდება ინფორმაცია ორგანიზაციაში მიმდინარე ყოველდღიური პროცესების შესახებ, შესრულებული ან დაგეგმილი სამუშაოების აღწერები, დავალებები, წარმოქმნილი პრობლემები და მათი მოგვარების გზები და შედეგები. საჭიროებიდან და სამუშაო მოთხოვნებიდან გამომდინარე გადავეწყვეთ დისტანციურ და ნახევრად დისტანციურ რეჟიმზე. მიუხედავად სამსახურეობრივი თანამდებობისა, თანამშრომლები გადანაწილდნენ: ხამდაზმულებთან მომუშავე ჯგუფში, გამცემ პუნქტში, ადმინისტრაციულ ნაწილში სამუშაოდ, საბუღალტრო, მომარაგების და სხვა სამსახურების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის. სასადილოს პერსონალი გაიყო ორ ჯგუფად, რომლებიც მუშაობენ კვირამონაცვლეობით. სოციალური სამსახურების ხელმძღვანელები, სადაც ეს შესაძლებელი იყო, გადავიდნენ დისტანციურ მომსახურებაზე, რაც სატელეფონო და ონლაინ კონსულტაციებს გულისხმობს. დისტანციურ რეჟიმში მუშაობს ორგანიზაციის მმართველი ორგანო „გამგეობა“, სადაც ხდება ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. აღსანიშნავია, რომ „კათარზისმა“ მოახერხა პანდემიის დაწყებიდან დღემდე ყველა თანამშრომლის შენარჩუნება შესაბამისი ანაზღაურებით.

თანამშრომელთა ტესტირება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ხანდაზმულთა დაწესებულებებისა და თავშესაფრების მომსახურე პერსონალი და ბენეფიციარები ექვემდებარებიან კოვიდ ინფექციაზე PCR ტესტირებას ორ კვირაში ერთხელ. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე ჩვენ დავდეთ ხელშეკრულება შპს „მედ. დიაგნოსტიკასთან“, რომელთან ერთად სისტემატიურად ხორციელდება ტესტირება.

ხანდაზმულებთან მომუშავე ჯგუფი

სამუშაო რეჟიმის ცვლილებისთანავე ორგანიზაციაში შეიქმნა ხანდაზმულებთან მომუშავე ჯგუფი, რომელიც შედგება ოთხი თანამშრომლისაგან. ისინი არიან ადამიანები, რომლებსაც ევალებათ სისტემატიური კავშირი თითოეულ ხანდაზმულთან; აკონტროლებენ მათ მდგომარეობას, აწვდიან მათთვის საჭირო ინფორმაციას, მოუწოდებენ კოვიდ უსაფრთხოების წესების დაცვისაკენ, იკვლევენ მათ საჭიროებებს და შეძლებისდაგვარად ზრუნავენ გამოვლენილი პრობლემების მოგვარებაზე.

მშრალი პროდუქტებით დახმარება

პანდემიის დაწყებისთანავე გამოიკვეთა, რომ ბენეფიციარებისთვის გარდა მზა სადილისა, უნდა შეგვეთავაზებინა საკვებით უზრუნველყოფის ალტერნატიული ფორმაც, კერძოდ, მშრალი პროდუქტები მათთვის, ვისაც სახლში მომზადების ელემენტარული პირობები მაინც ჰქონდა. ხანდაზმულებთან მომუშავე ჯგუფი ყოველთვიურად იკვლევს საკვების მიწოდების რომელი ფორმაა მისაღები თითოეული ბენეფიციარისათვის იმ კონკრეტულ პერიოდში: ვის მზა სადილი ურჩევნია, ვის - მშრალი პროდუქტები. მშრალი პროდუქტებით დახმარების მსურველთა რიცხვი სხვადასხვა თვეში მერყეობს 200-დან 250 ადამიანამდე. პროდუქტების ნობათი (მიეწოდებათ სამ კვირაში ერთხელ) შედგება 12-14 დასახელების, მათ შორის, საბაზისო პროდუქტისაგან (ზეთი, შაქარი, წიწიბურა, მაკარონი, ბრინჯი, ჰერკულესი, კარაქი, კვერცხი, შედედებული რძე, ძეხვი, თევზის კონსერვი, ტკბილეული, ხილი). გარდა ამისა პერიოდულად ხანდაზმულს მიეწოდება ჰიგიენის საშუალებებიც: საპონი, შამპუნი, სველი ხელსახოცი. სულ 9 თვის განმავლობაში გაიცა მშრალი პროდუქტების 3476 ნობათი.

სარეაბილიტაციო-სავარჯიშო სამსახური

სავარჯიშო დარბაზი, რომელიც შექმნილია დაავადებების პრევენციისათვის, სარეაბილიტაციო კი - გადატანილი სნეულებების შემდგომ (ინფარქტი, ინსულტი, ხერხემლის პათოლოგიები და ა.შ.) აღდგენისათვის, სამსახური წლის პირველი სამი თვე მუშაობდა ჩვეულ რეჟიმში და 12 მარტამდე პერიოდში ყოველდღიური მომსახურება გაეწია 552-ჯერ, ხოლო სამასაჟო მომსახურებამ - 150-ზე მეტი შეადგინა. 2020 წლის აპრილიდან დღემდე სამსახურის ხელმძღვანელი, ყოველდღიურად, ონლაინ ვარჯიშებს უტარებს „კათარზისის“ თავშესაფრის ხანდაზმულებს, ხოლო სამასაჟო მომსახურება დროებით შეჩერებულია.

იურიდიული სამსახური

მუშაობს კვალიფიციური იურისტი, რომლის მოვალეობა ძირითადად საკონსულტაციო საქმიანობით შემოიფარგლება. ამასთან, ასწავლის მათ განცხადების შესაგებელის, საჩივრის და სხვათა სწორად დაწერას, ურჩევს რა დოკუმენტები სჭირდებათ ამა თუ იმ დავების, სასამართლო პროცესების დროს. უწევს კონსულტაციებს საკუთარი უფლებების დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე, რათა არ გახდნენ რაიმე ტიპის ძალადობის ან თაღლითობის მსხვერპლნი. 2020 წელის აპრილიდან იურიდიული სამსახური გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე. ის გასცემს სატელეფონო კონსულტაციებს და საჭიროების მიხედვით ერთვება ხანდაზმულთა სამართლებრივ დავებშიც. მთელი წლის განმავლობაში იურიდიულმა სამსახურმა გასწია 900-მდე მომსახურება.

სილამაზის სალონი

სალონი ეხმარება ხანდაზმულებს სისუფთავის და წესრიგის შენარჩუნებაში. სპექტაკლების, კონკურსების, სხვა ღონისძიებების დროს მათ სადღესასწაულო ვარცხნილობებს და შესაბამის მაკიაჟს უკეთებენ. სალონი მთელი წლის განმავლობაში ემსახურებოდა ხანდაზმულებს, ქვეყანაში კონკრეტული პერიოდებისათვის განსაზღვრული დაშვებებისა და რეგულაციების შესაბამისად. 2020 წელს აღრიცხულია 560 მომსახურება.

ჰიგიენური მომსახურება

სათნოების სახლში ვერ მოეწყობა აბანო, ამიტომ ხანდაზმულებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოსაგვარებლად ხელშეკრულება გაფორმებულია ქალაქის აბანოსთან („ნარიყალა“), სადაც ხანდაზმულები სარგებლობენ მომსახურებით, ხოლო „კათარზისი“ იხდის მომსახურების თანხას. 2020 წლის განმავლობაში ამ სფეროში ეტაპობრივი შეზღუდვების გათვალისწინებით 1940-ზე მეტი მომსახურეობა გაეწია ხანდაზმულებს.

ექიმი

საექიმო კაბინეტი და უფასო აფთიაქი ემსახურება ყველა ბენეფიციარს, ვინც სარგებლობს „კათარზისის“ მომსახურებით, აგრეთვე, სოციალურად დაუცველ სხვა მოქალაქეებს. აქ ხორციელდება პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევა. რთული შემთხვევების დროს ექიმი იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას და ხდება პაციენტის ჰოსპიტალიზაცია. აგრეთვე, პერიოდულად ხორციელდება ხანდაზმულთა უფასო გამოკვლევები სამედიცინო დაწესებულებებში ინდივიდუალური მიმართვების გზით. 2020 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში სამედიცინო სამსახურმა 1020 მომსახურება გაწია. აპრილიდან დღემდე ორგანიზაციის ექიმი ხანდაზმულებთან მუშაობს სატელეფონო კონსულტაციების ფორმით, საჭიროების შემთხვევაში ამისამართებს მათ კონკრეტულ სპეციალისტთან, ეხმარება მათთან ვიზიტის დაგეგმვაში. საჭიროების შემთხვევაში, შემოდის ადმინისტრაციასთან რეკომენდაციით კონკრეტული ხანდაზმულისათვის მედიკამენტით დახმარების თუ სხვა სამედიცინო საჭიროების თაობაზე. ექიმი ყოველდღიურად 5-8 ბენეფიციარს უწევს სატელეფონო კონსულტაციას.

თავშესაფარი

თავშესაფარი ფუნქციონირებს იმ ხანდაზმული ქალბატონებისათვის, ვისაც ბინის პრობლემა აქვს (14 ადგილი). ხანდაზმულები სარგებლობენ კომპლექსის ყველა სერვისით, მათ სამჯერადი კვება და ყოველდღიური საექიმო მომსახურება აქვთ, უტარდებათ სიმღერისა და ცეკვის, არტ. თერაპიის გაკვეთილები, პერიოდულად დადიან ექსკურსიებზე. ბებიებს ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ ხელოვნების კოლექტივები. პანდემიის გამოცხადებისთანავე თავშესაფარი გადავიდა „კარანტინის“ რეჟიმზე. შეიზღუდა უცხო პირებისა და სტუმრების მიღება. იქ მყოფ ბებიებს ყველა პირობა აქვთ უსაფრთხო და ჯანსაღი ცხოვრებისათვის: ონლაინ გადიან გამამხნევებელ ვარჯიშებს, არტ. თერაპიის სეანსებს; აქვთ შესაძლებლობა ისეირნონ სუფთა ჰაერზე „კათარზისის“ ეზოში.

კინოდარბაზი

ერთ-ერთი სასიამოვნო და საჭირო სამსახურია ხანდაზმულებისათვის. მოხუცების ნაწილს ელექტროენერგია არ მიეწოდება ან ტელევიზორი არ აქვს სახლში. კინოდარბაზში მათ შეუძლიათ თვალყური ადევნონ ყოველდღიურ პროცესებს, ნახონ მათთვის საინტერესო გადაცემები, აგრეთვე, დაესწრონ სპეციალურ სეანსებს, სადაც ფილმები და გასართობი პროგრამები მათი სურვილითაა შერჩეული და ასეც ფუნქციონირებდა მარტამდე, მაგრამ 2020 წლის 20 მარტიდან, პანდემიის გამოცხადებიდანვე, კინოდარბაზის სივრცე ყველაზე მთავარ ადგილად იქცა. მან დროებით შეიცვალა ფუნქცია და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით გადაკეთდა ე. წ. „გამცემ პუნქტად“, საიდანაც ხდება მზა სადილების, მშრალი პროდუქტების, აბანოსა და სალონის ბარათების გაცემა, როგორც გლოვოს კურიერების, ისე მოსული ხანდაზმულებისათვის. საჭიროების შემთხვევაში აქედანვე ხდება ხანდაზმულებთან უშუალო კონტაქტი „ღია ფანჯრიდან“ დისტანციისა და წესების სრული დაცვით.

თეატრალური დარბაზი

„კათარზისის“ ხანდაზმულთა გუნდში, საესტრადო თუ სხვა ჯგუფებში უკვე შემდგარი თუ დაფარული ტალანტების გამოვლენა ხდება. ეს ადგილი ბენეფიციარების სუსტი წერტილია.

2020 წელი დაიწყო თეატრალური დასისა და საკონცერტო ჯგუფების მუშაობით ჩვეული აქტივობით. დაიგეგმა როგორც შიდა, ისე გასვლითი ღონისძიებები. წლის დასაწყისშივე გაიმართა „ნათლისღების“, დედის დღის, 3 მარტისადმი, ვალენტინობისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. პირველი სამი თვის განმავლობაში ჩატარდა: საქართველოს კულტურის პალატის ორგანიზებით თეატრალური კვარტეტის კონცერტი ხანდაზმულებისათვის; „ხინკლის სახლმა“ მიიწვია „კათარზისის“ გუნდის წევრები (35 ადამიანი) სადილზე და საკონცერტო ღონისძიებაზე; გაიმართა „კათარზისის“ ყოველწლიური წარმოდგენა -კონკურსის - „წლის ბებია, წლის ბაბუას“ გამარჯვებულების შეხვედრა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქთან; სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრისა და ევროპული სკოლის ბავშვებმა საკონცერტო პროგრამა შესთავაზეს თავშესაფრის ბებიებს; „კათარზისს“ ეწვია და კლასიკური მუსიკის კონცერტი მოაწყო ვიოლინოზე დამკვრელთა ჯგუფმა; რესტორანმა „თეთრი სახლი“ სადილზე მიიწვია თავშესაფრის ბებიები; ორგანიზაციამ „ახალგაზრდა მწერალი“ ჩაატარა ლექცია - საუბრები ხანდაზმულებთან ხანგრძლივი სიცოცხლის შესახებ; ხანდაზმულებისათვის გაიმართა საქართველოს ალცჰაიმერის ორგანიზაციის ღონისძიება; ჩატარდა ისრაელის ახალგაზრდა დიპლომატთა, კომპანია „აკლის“ კონცერტები; აღვნიშნეთ „კათარზისის“ თავშესაფარში მცხოვრები ბებიის, ნათელა გეგიას, 90 წლის იუბილე ორგანიზაციის ეზოში - სადღესასწაულო ტორტით, ყვავილების თაიგულით დასაჩუქრებული იუბილარი ფანჯრიდან მომზირალი ისმენდა მისთვის მიძღვნილ სიმღერებსა და ლექსებს, იღებდა მილოცვებს.

არტ-თერაპია

აქ მუშაობს არტ-თერაპიის რამოდენიმე მიმართულება: იზოთერაპია (ხატვა, ნახატის გაფერადება, ძერწვა), ცეკვის თერაპია, სიცილის თერაპია, კინოთერაპია, მუსიკათერაპია, ლიტერატურათერაპია, პოეზია - მეტყველების თერაპია, მოძრაობითი ხელოვნება ანუ ევრითმია. 2020 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში გაწეულია 145 მომსახურება, ხოლო აპრილიდან არტ. თერაპიის სეანსები დისტანციურად უტარდებათ თავშესაფრის ბებიებს.

პროექტები მწოლიარეთა დახმარება

მწოლიარე ხანდაზმულებს თვეში ერთხელ ბინაზე მიეწოდება აუცილებელი, პირველადი საჭიროების მშრალი პროდუქტი (12-14 დასახელების), პირველადი მოხმარების ნივთები. ეს ძირითადად ის ადამიანები არიან, რომლებიც წლების განმავლობაში სარგებლობდნენ დღის ცენტრის მომსახურებით და შემდეგში გადაადგილების უნარი შეეზღუდათ. 2020 წელს მწოლიარე ხანდაზმულების დახმარება სრულფასოვნად გაგრძელდა, 350-ჯერ გაეწია მომსახურება.

„სასაჩუქრე ნობათები გეგია-ბაბუებს“

პანდემიის პერიოდმა აქტუალური გახადა ხანდაზმულებისათვის მშრალი პროდუქტებით დახმარების საკითხი. ორგანიზაციებს მივმართეთ თხოვნით, დაეფინანსებინათ საბაზისო მშრალი პროდუქტების ნობათები (12-14 დასახელების პროდუქტი) ყველა ბენეფიციარზე. პროდუქტი განთავსებული იყო ამ კომპანიების ბრენდირებული პარკებით და მისალოცი ფლაერებით. პროდუქტების მიწოდება ხდებოდა „გლოვოს“ კურიერების მეშვეობით და „ღია ფანჯრის“ პრინციპით.

პროდუქტების პირველი ნობათი გავეცით სააღდგომოდ (პასკით, შეღებილი კვერცხით) კომპანია „ავერსის“ დაფინანსებით (ბიუჯეტი - 5652 ლ.). მაისის თვის პროდუქტების სპონსორი იყო ს.ს. „საქართველოს რკინიგზა“ (ბიუჯეტი - 6000 ლ.), ივნისში - შპს „დემასი“ (ბიუჯეტი - 5852,5 ლ.); აგვისტოში - „ეი დი ეს ბორჯომის“ დაფინანსებითა და პროდუქციით დავეხმარეთ ხანდაზმულებს (ბიუჯეტი - 5000 ლ.); ნოემბერში - დამფინანსებელი იყო კვლავ კომპანია „ავერსი“ (ბიუჯეტი - 5912,5), ხოლო დეკემბერში - საახალწლო ნობათის სპონსორი იყო შპს „დენტონს საქართველო“ (ბიუჯეტი - 7990,5 ლ.).

სადილი ყველას

წლის დასაწყისიდან გაგრძელდა პროექტი „სადილი ყველას“, რომლის მიზანია ყველა იმ ადამიანის დაპურება, ვინც გამოცხადებულ დღეს ჩვენს ორგანიზაციას ეწვევა: ხანდაზმულები, დევნილები, მრავალშვილიანები, ე.წ. „ქუჩის ბავშვები“, ყველა მსურველი. ღონისძიებამდე 5-6 დღით ადრე თბილისის ქუჩებში იკვრება 10 ორმხრივი საგზაო ბანერი წარწერით - „სადილი ყველას“ (სურვილისამებრ მას ებმება აქციის სპონსორის ლოგო), რაც სოციალურად დაუცველი თბილისელებისათვის უკვე კარგად არის ცნობილი, ხოლო ტელეეთერით, როგორც წესი, გადის სოციალური ვიდეორგოლი.

2020 წელს პირველ სამ თვეში განხორციელდა ორი ასეთი ღონისძიება. პირველი აქცია, ტრადიციულად, ჩატარდა, 7 იანვარს. საშობაო ღონისძიების სპონსორი იყო ფარმაცევტული კომპანია „ავერსი“ (ბიუჯეტით - 5652,5 ლარი), ხოლო 14 იანვარს უქონელი თბილისელების მასპინძელი კვლავ გახლდათ შპს „ტექნოჰაუსი“ (ბიუჯეტი - 6452,5).

წლის ბებია-ბაბუა 2020

2020 წელს, მეორედ ამ პროექტის ისტორიაში, ხანდაზმულთა ტრადიციული საშობაო წარმოდგენა-კონკურსი - „წლის ბებიასა და ბაბუას“ წოდებების მოსაპოვებლად ჩაიწერა 5 იანვარს, ხოლო ტელეეიმედის ეთერში გავიდა 22 იანვარს, გადაცემაში „პრაიმ შოუ“. ღონისძიება გამოირჩეოდა საკონკურსო ნომრების მრავალფეროვნებით. ხანდაზმულები ერთმანეთს შეეჯიბრნენ - ცეკვაში, სიმღერაში, ინსტრუმენტებზე დაკვრაში. კონკურსი ძალზე პოპულარულია და მასში მონაწილეობა მიიღო 31-მა ხანდაზმულმა როგორც თბილისიდან, ისე რეგიონებიდან.

ჟიურის წევრები, რომლებმაც გამარჯვებულები გამოავლინეს, იყვნენ „პრაიმ შოუს“ ექვსივე წამყვანი და ამ კონკურსის სპონსორის (ბიუჯეტი - 6100 ლარი), კომპანია „ბეკოს“, საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი ხატია ტყებუჩავა. გამარჯვებულები გახდნენ: წლის „ბებია-2020“ - თინა ბერიაშვილი (72 წლის, თბილისი) და „ბაბუა -2020“ - ნოდარ ფულარიანი (82 წლის,

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის კათარზისის მფლობელებს და მენეჯმენტს:

მოსაზრება

ჩვენ შევამოწმეთ სჰკ კათარზისის (კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშები, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოგება-ზარალის და სხვა ჯამური შემოსავლის ანგარიშს, კაპიტალის ცვლილების ანგარიშს და ანგარიშს ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ამ თარიღისთვის დასრულებული წლისათვის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა განმარტებითი ინფორმაციის („ფინანსური ანგარიშები") შეჯამებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშები მომზადებული იქნა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების („ფასს"-ების) შესაბამისად.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სჰკ კათარზისის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს"-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი
ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - `აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე~ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ სჰკ "კათარზისი"-ს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფასს - ის შესაბამისად და აგრეთვე შიდა კონტროლზე, როგორც მენეჯმენტი დაადგენს საჭიროდ, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსური ანგარიშების მომზადება, სადაც არ იქნება მატერიალური ცდომილება შეცდომის ან თაღლითობის გამო.

ფინანსური ანგარიშის მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე მისი ფუნქციონირების შეუწყვეტლად, ინფორმაციის გახსნაზე, როდესაც მისაღებია, ფუნქციონირების უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და საქმიანობების განხორციელების უწყვეტობის საფუძველზე ანგარიშგების გამოყენებაზე, თუ მენეჯმენტი მიზნად არ ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან არ წყვეტს ფუნქციონირებას, ან არ გააჩნია რაიმე შესაბამისი ალტერნატივა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, როდესაც იგი არსებობს, ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიჩნეულია, როგორც არსებითი, თუ, ერთობლივად ან ცალ-ცალკე, მათგან გონივრულად მოსალოდნელია, რომ გავლენა იქონიონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რაც მიღებულია ამ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით, როგორც ISA-ს თანახმად ჩატარებული აუდიტის ნაწილი, ჩვენ ვახორციელებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის საშუალებით, ჩვენ აგრეთვე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, ვადგენთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკების საპასუხოდ და გავცემთ აუდიტის დასკვნას, რაც საკმარისია და შესაბამისია, იყოს ჩვენი მოსაზრების საფუძველი. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ-აღმოჩენის რისკი მაღალია, ვიდრე შეცდომის გამო წარმოშობილი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, სიყალბეს, მიზანმიმართულ გამოტოვებებს, მცდარ ინფორმაციას ან შიდა კონტროლის უკუგდებას.
- შიდა კონტროლის მიღება და გაცნობიერება, რომელიც აუდიტის შესაბამისია, რათა ჩამოყალიბდეს აუდიტის პროცედურები, რომლებიც შესაბამისია გარემოებებთან, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობის და საბუღალტრო გაანგარიშებების და მენეჯმენტის მიერ განხორციელებული მასთან დაკავშირებული აღმოჩენების გონივრულობის შეფასება.
- დასკვნის გაკეთება მენეჯმენტის მიერ ანგარიშგებისას ფუნქციონირობის უწყვეტობის საფუძველის გამოყენების შესაბამისობის შესახებ და, მიღებული აუდიტის მტკიცებულებების საფუძველზე, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინოს კომპანის ფუნქციონირების უწყვეტობის უნარის შესახებ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობა, ჩვენს აუდიტის დასკვნაში ყურადღება უნდა მივაქციოთ ფინანსურ ანგარიშებში მოცემულ მასთან გამოვლინებებს, ან, თუ აღნიშნული გამოვლინებები არის არადეკვატური, შევასწოროთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის შეწყვეტა.
- ფინანსური ანგარიშების მთლიანი წარმოდგენის, სტრუქტურის და შინაარსის შეფასება, აღმოჩენების ჩათვლით, და წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშები საფუძვლად დადებულ გარიგებებს იმგვარად, რომ დაცული იყოს კეთილსინდისიერება.

ჩვენ დავუკავშირდით მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დადგენილი ფარგლების და დროის განრიგის და აუდიტის მნიშვნელოვანი დასკვნების შესახებ, შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლებობის ჩათვლით, რაც ჩვენ აუდიტის განმავლობაში აღმოვაჩინეთ. მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ჩვენ აგრეთვე მივაწოდეთ განცხადება, რომ ვიცავთ დამოუკიდებლობის შესახებ ეთიკის მოთხოვნებს და ვაცნობეთ ყველა კავშირის და სხვა საკითხების შესახებ, რამაც შესაძლოა გონივრულად დააბრკოლოს და კავშირი ჰქონდეს ჩვენს დამოუკიდებლობასთან, და აგრეთვე ვაცნობეთ, სადაც საჭიროა, მასთან დაკავშირებული დაცვის საშუალებები.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია მალხაზ უჯმაჯურიძე.

შპს აუდიტორთა და იურისტთა საერთაშორისო ჯგუფი-ს სახელით.

თბილისი, საქართველო

24 მარტი, 2020

ბაღდათი). მათ გადაეცათ ფულადი პრიზი 500-500 ლარის ოდენობით თითოეულს. გარდა ამისა, 300-300 ლარით დაჯილდოვდნენ კომპანია „ბეკოს" და გადაცემა „პრაიმ შოუს" რჩეულები. ამასთან, 100-100 ლარი, სატრანსპორტო ხარჯი და სპონსორისაგან ტკბილეულის ნობათი მიიღო ღონისძიების ყველა მონაწილემ.

9 მაისი

„კათარზისი" ყოველი წლის 9 მაისს ულოცავს მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს: იმართება საკონცერტო ღონისძიებები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც ხანდაზმულთა, ისე მოწვეული სასიმღერო თუ საცეკვაო გუნდები. 2020 წლის 9 მაისი დაემთხვა ჩვენს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის პერიოდს და ჩვენს ბენეფიციარ 5 ვეტერანს ბინაზე ვეწვიეთ საჩუქრებით: გადავეცით ფულადი დახმარებები, კვების პროდუქტებისა და პირველადი მედიკამენტების პაკეტები, სამახსოვრო ჭიქები, რომელზეც მათი სახელები და გვარები იყო ამოტვიფრული.

1 ოქტომბერი – ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე

2020 წლის 1 ოქტომბერი, ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით „კათარზისმა" ხანდაზმულებს მიულოცა და საზოგადოებას შეახსენა სატელევიზიო და სოციალურ ქსელებში აქტივობებით: სამი დღის განმავლობაში საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადიოდა ხანდაზმულთა დღის მისალოცი შინაარსის ვიდეორგოლები; ამავე პერიოდის განმავლობაში ხანდაზმულთა თემატიკით და მილოცვებით დატვირთული იყო სოციალური ქსელები.

ხანდაზმულთა დასაქმების პროექტი

2019 წლიდან დაიწყო და 2020 წლის განმავლობაში, შეზღუდვების გათვალისწინებით, ეტაპობრივად მიმდინარეობდა ორგანიზაცია „ბებიას" პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „კათარზისის" ხანდაზმული ბებიების დასაქმებას. ამ პროექტის ფარგლებში დამსაქმებელს მოაქვს ნედლეული (ძაფი), რომელსაც „ღია ფანჯრის" პრინციპით გადავცემთ ბებიებს. ისინი სახლში ქსოვენ ზამთრის ქუდებს, ხოლო მოქსოვილ ქუდებს, იმავე პრინციპით, გადავცემთ დამკვეთს. აღნიშნულ პროექტში ჩართული იყო 10 ბებია.

ალტერნატიული ჯარი

2007 წლიდან საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული ხელშეკრულების საფუძველზე „კათარზისში" ალტერნატიულ სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადის ათეულობით ახალგაზრდა (ძირითადად რელიგიური მოსაზრებების გამო). სამხედრო მოსამსახურეები (სათნოების ძმები) მონაწილეობენ ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობასა (მომსახურება სასადილოსა და კაფეში, მწოლიარეთათვის სადილების მიტანა, ინტერნეტ-კაფე, სავარჯიშო-სარეაბილიტაციო დარბაზი, გარდერობი) და პროექტებში („სადილი ყველას", „უსახლკაროთა დახმარება"და სხვა). სათნოების ძმები (პირები, რომლებიც ალტერნატიულ ჯარს გადიან) მთელი პანდემიის პერიოდში აქტიურად იყვნენ ჩართული ყველა იმ საქმიანობაში, რომელიც აქტუალური იყო კონკრეტული პერიოდისათვის - მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ ბებია-ბაბუებთან ბინაზე მიჰქონდათ მზა სადილები და მშრალი პროდუქტები, ისინი ასრულებდნენ ნებისმიერი ტიპის ფიზიკურ სამუშაოებს, მონაწილეობას იღებდნენ შეძენილი და შემოწირული პროდუქტების დატვირთვა-დაცლასა და დაფასოებაში და ა.შ. 2020 წლის განმავლობაში სამსახურს გადიოდა 15-17 წვევამდელი.

მოხალისეები

მოხალისეობის ინსტიტუტს პოსტსაბჭოთა საქართველოში სავარაუდოდ „კათარზისში" ჩაეყარა საფუძველი. ჯერ კიდევ 1990 წელს, როდესაც „კათარზისი" იწყებდა საქმიანობას, მოხალისეები ქაშუეთის ეკლესიასთან იკრიბებოდნენ და მარტოხელა ხანდაზმულებისათვის საკვები და ტანსაცმელი მიჰქონდათ. მას შემდეგ სხვადასხვა თაობები ჩართული არიან „კათარზისის" ყოველდღიურ საქმიანობასა და პროექტებში. 2020 წელს პანდემიის დაწყებიდან მოხალისეები გვეხმარებოდნენ მზა სადილებისა და მშრალი პროდუქტების მიწოდებაში იმ ბენეფიციარებისათვის, რომელთა საცხოვრებელ მისამართებს ვერ ფარავს კომპანია „გლოვო".

მემორანდუმი GWP-სთან

2020 წლის აგვისტოდან კვლავ გაგრძელდა ერთწლიანი მემორანდუმი „კათარზისსა" და GWP-ს შორის, რომლის ფარგლებშიც GWP ფარავს „კათარზისის" მიერ გახარჯული წყლის ყოველთვიური ხარჯიდან 1500 ლარს.

„თელასის" გათბობის პროექტი

2020 წელს ს.ს. „თელასმა" აღადგინა ზამთრის გათბობის პროექტი და ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის ხარჯების დასაფარად გადმოგვცა 15000 ლარიანი საშეღავათო ვაუჩერი.

ეკონომიკური საქმიანობა

ეკონომიკური საქმიანობა, რომელსაც ასოციაცია „კათარზისი" აწარმოებს, არის ფართების გაქირავება. დღეისათვის იჯარით გაცემული გვაქვს 147 კვ. მ. ფართი, რომლიდანაც 2020 წლის შემოსავალმა შეადგინა 84.343,77 ლარი.

2020 წლის საბუღალტრო დოკუმენტაცია: პროგრამული ანგარიში გაწეული საქმიანობისა და მიღებული შემოსავლების შესახებ, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) განთავსებულია „საერთო გაზეთში" (N12, 2021 წ.).

ასოციაციის პრეზიდენტი
ზაურ ალადაშვილი

ელეონორა რუზველტი - „მსოფლიოს პირველი ლედი“

„გააკეთეთ ის, რაც გულის სიღრმეში სწორად მიგაჩნიათ, თქვენ ხომ ნებისმიერ შემთხვევაში გაგაკრიტიკებენ. თქვენ დაგწყევლიან, თუ იმოქმედებთ დადაგწყევლიან მაშინაც, თუ არაფერს გააკეთებთ“.

ელეონორა რუზველტი

ამერიკელებისთვის ქვეყნის ისტორიაში საუკეთესო პირველი ლედი ფრანკლინ დელანო რუზველტის (პრეზიდენტის) მეუღლე, თეოდორ რუზველტის (პრეზიდენტი) ძმისშვილი ელეონორა რუზველტია. ამბობენ, რომ მას თავიდანვე უნდოდა პოლიტიკური კარიერა გაეკეთებინა, მაგრამ იმ დროისთვის, თუ ამერიკაში პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა გინდოდა, პრეზიდენტის მეუღლე უნდა გამხდარიყავი.

ბებია ნელი

როდესაც ელეონორა ფრანკლინზე გათხოვდა, გვარის შეცვლამ არ მოუწია. რუზველტი მისი ქალიშვილობის გვარი იყო — ფრანკლინი მისი კუზენი იყო, თუმცა ძალიან შორეული და თან მამამისის ნათლული... მომავალი პირველი ლედის სახელი სრულად ანა ელეონორა იყო, მაგრამ პატარაობიდანვე მას მხოლოდ ელის ან ნელს ეძახდნენ. გოგონა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისთვის მიღებული საზომებით ლამაზი სულაც არ იყო, მას ჰქონდა ფართე პირი, მსუქანი ტუჩები, სწორი ღია ფერის თმა. ელეონორა თავადაც არ თვლიდა თავს ლამაზად და გაკვირვებული დარჩა, როდესაც ფრანკლინმა ცოლობა სთხოვა.

ელეონორა ბავშვობიდან ისე იქცეოდა, რომ დედა „ბებოს“ ეძახდა. ის ძველმოდურად საუბრობდა, ყურადღებას აქცევდა ათასგვარ წვრილმანს და ნათელი იყო, რომ ის გოგონებისთვის განკუთვნილ კლასიკურ წიგნებს კითხულობდა, რომლებიც მასზე სერიოზულ გავლენას ახდენდა.

გოგონა-ბებოს ერთი შეხედვით ოქროს ბავშვობა აჰქონდა: მდიდარი ოჯახი, ნიუ-იორკში ცხოვრება, ორი ძმა, გუვერნანტები, სათამაშოები და საშობაო ნაძვისხის ქვეშ უამრავი საჩუქარი... სამაგიეროდ, მამა დედას მოსამსახურესთან ღალატობდა და სინამდვილეში გოგონას ორი კი არა, სამი ძმა ჰყავდა... როცა ელი რვა წლის შესრულდა, ერთი ძმა და დედა დიფტერიით გარდაეცვალა. მამა კი ლოთობას გადაყვა.

ათი წლის ასაკში ნელი სრულიად დაობლდა. ის სოფელში წაიყვანა დედის ბებიამ, რომელსაც დიდი სახლი ჰქონდა, რომელიც მოსამსახურეებით იყო სავსე. თხუთმეტი წლის ასაკში ელეონორა ლონდონში გაგზავნეს გოგონების სკოლაში, რომელიც, პრაქტიკულად საცოლეებს ამზადებდა. სკოლაში უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ თავის მოვლას, კოსმეტიკური საშუალებების სწორად გამოყენებას და ცეკვებს, ვიდრე ისტორიას და მათემატიკას. ეს მეცხრამეტე საუკუნის ბოლო იყო. მდიდარი ქალიშვილისთვის მათემატიკა მხოლოდ ტაბელში ერთი სტრიქონი იყო, რომლის გასწვრივაც ღირსეული შეფასება უნდა ყოფილიყო ჩაწერილი.

ქალიშვილი, რომელთან საუბარიც საინტერესოა

ფრანკლინს ნელი ბავშვობიდან იცნობდა — ისინი ერთმანეთს საერთო ნათესავებთან ხვდებოდნენ. მაგრამ, როცა გოგონას თვრამეტი წელი შეუსრულდა, მათმა ურთიერთობებმა ნათესაური „მიმართულება“ დაკარგა. ყმაწვილმა თავის „ულამაზო“ კუზინას ყურადღება მიაქცია. ვაჟი აღფრთოვანებული იყო ნელის მანერებით და ძალიან მოსწონდა, როგორ ცეკვავდა. ხოლო, როცა გოგონა გაიზარდა, მასთან საუბარი ძალზე საინტერესო გახდა. ნელს შეეძლო საათობით ესასუბრა პოლიტიკაზე, პროგრესზე, საზოგადოებაზე. მათი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვეოდა, მისი ენერგეტიკა კი გაოცებდა.

ურთიერთობის დაწყებიდან სამი წლის შემდეგ ელეონორა და ფრანკლინი დაქორწინდნენ. საკურთხეველთან პატარძალი მოქმედმა პრეზიდენტმა, მისმა ბიძამ — თეოდორ რუზველტმა მიიყვანა.

პოლიტიკური კარიერისთვის ფრანკლინს შესანიშნავი სტარტი ჰქონდა და მან ეს გამოიყენა. ვიდრე მისი ცოლი ერთმანეთის მიყოლებით ბავშვებს აჩენდა, ის კარიერულ კიბეზე წინ მიიწევდა. არც ელეონორა დარჩენილა უსაქმოდ — ისიც საზოგადოებრივ საქმიანობაში იყო ჩართული.

მაგრამ პირველი მსოფლიო ომის წყალობით, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატები მხოლოდ 1917 წელს ჩაება, მას მოქმედების თავისუფლება მიეცა. ჯერ კიდევ ომში ამერიკის ჩაბმამდე, ელეონორა მონაწილეობდა წითელი ჯვრის ორგანიზაციის მისიებში, მოგვიანებით მუშაობდა ჯარისკაცების სასადილოში და ამ ფაქტს იყენებდა, როგორც არაჩვეულებრივ გამოცდილებას ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის აგიტაციისთვის.

ერთი პოლიტიკა ორისთვის

როგორც ცნობილია, 1921 წელს ფრანკლინი მეუღლე ეტლს მიეჯაჭვა გადატანილი პოლიომიელიტის გამო. ამას არც ერთი მათგანი არ შეუჩერებია. 1933 წელს ფრანკლინი პრეზიდენტი ხდება, ელეონორა — პირველი ლედი და... ბოლოსდაბოლოს ელეონორას თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობა ეძლევა. რუზველტმა პრეზიდენტის სავარძელი დიდი დეპრესიის პერიოდში მოიპოვა, იმ დროს, როცა შიმშილისგან ქუჩებშიც კი იხოცებოდნენ ადამიანები. ვიდრე ის ფენა, რომელსაც რუზველტის ოჯახი მიეკუთვნებოდა, იმაზე მსჯელობდა, როგორ გადაერჩინათ თავი და მერე ყველა როგორმე შეძლებდა ცხოვრებას, ელეონორა სოციალურ პრობლემებზე საუბრობდა — იმაზე, რომ ეს მთელი საზოგადოების პრობლემებია და ისინი თავად საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს.

ალბათ, არავის გაკვირვებია, როცა 1939 წელს აღმოჩნდა, რომ მისი პოპულარობის მაჩვენებელი მის მეუღლეზე მაღალი იყო: ელეონორას მოღვაწეობას ამერიკელების 67%-მა მიანიჭა უპირატესობა, ფრანკლინისას კი — მხოლოდ 58%-მა.

იმავე 1939 წელს ფერადკანიან მომღერალ მარიან ანდერსონს მისი რასობრივი კუთვნილების გამო უფლება არ მისცეს, ვაშინგტონში საკონსტიტუციო დარბაზში ემღერა, ელეონორა რუზველტმა იმას მიაღწია, რომ ანდერსონი ლინკოლნის მემორიალის კიბეებზე გამოსულიყო, რითიც ადამიანის უფლებების დაცვის ბრძოლის შთამაგონებელი სიმამაცის უკვდავი სიმბოლო გახდა.

როცა 1941 წელს ეს ქალბატონი დაინიშნა თავდაცვის მინისტრის მოადგილის პოსტზე, ეს არავის გაკვირვებია. ელეონორა არა მხოლოდ მოგზაურობდა მსოფლიოში, ასრულებდა თავის მოვალეობებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელიც გახდა, რომელიც ადამიანების უფლებების დამცველი უნდა ყოფილიყო საერთაშორისო დონეზე. სწორედ იმიტომ არის განთავსებული ამ ორგანიზაციის შტაბბინა ნიუ-იორკში, რადგან მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი ელეონორა რუზველტია. ის არის ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის ერთ-ერთი ავტორიც.

1946 წელს პრეზიდენტმა ტრუმენმა ელეონორა რუზველტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის მუდმივ წარმომადგენლად დანიშნა. როცა მისის რუზველტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის დელეგატი გახდა, პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა მას „მსოფლიოს პირველი ლედი“ უწოდა ჰუმანიტარულ სფეროში მისი მიღწევების გამო. ახლა უკვე აღარავინ კითხულობდა, რატომ, მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე არ იყო მისტერ რუზველტის დამატება. ფრანკლინ დელანო რუზველტი გამარჯვების შემდეგ მალევე გარდაიცვალა საყვარელი ქალის, თავისი მდივნის მკლავებში.

ქალთა უფლებების დაცვასა და ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლაში მას თავისი ინტერესი ჰქონდა, პირველ რიგში, ის ქალი იყო, რომელსაც უფლებების დარღვევისგან მხოლოდ სიმდიდრე იცავდა; და მეორეც, მანაც იპოვა თავისი მეორე სიყვარული და ეს სიყვარულიც ქალი იყო, პროფესიით ჟურნალისტი...

ბელა გველესიანი
568 90 81 22

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ კარგ ქართველს, ქველმოქმედს, შესანიშნავ მეოჯახეს და ჩვენს ერთგულ მეგობარს

დავით ინჯიას

დღეგრძელობას, სიხარულს, ჯანმრთელობას, წარმატებებს ვუსურვებთ.

იხარეთ და იდღეგრძელეთ, ჩვენო დავით, მრავალჟამიერ!

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი
ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74
გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

http://www.saertogazeti.ge